პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ხუთშაბათი 14 მარტი 1940 წ.

№ 60 (5761)

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

«КОМУНИСТИ» ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## საზავო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის

[illegible] ლობაში შედის მთელი კარელიის ყელი ქ. ვიბორგითა (ვიპური) და ვიბორგის ყურითურთ, ლადოგის ტბის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპირო ქალაქებით კექსჰოლმით, სორტავალათი, სუოიარვითურთ, ფინეთის ყურის მთელი რიგი კუნძულები, მერკიარვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია და ქალ. კუოლაიარვი, რიბაჩისა და სრედნის ნახევარკუნძულთა ნაწილი.

სსრ კავშირს 30 წლით იჯარით ეძლევა ნახევარკუნძული ხანკო მის გარშემო მდებარე კუნძულებითურთ, რათა იქ შექმნას სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელსაც შეუძლია აგრესიისაგან დაიცვას ფინეთის ყურის შესასვლელი. ფინეთი კისრულობს ვალდებულებას, როგორც გათვალისწინებული იყო 1920 წლის ხელშეკრულებით, არ მოაწყოს თავის ჩრდილოეთ სანაპიროზე სამხედრო ნავსადგურები და არ იყოლიოს ამ წყლებში სამხედრო გემები, გარდა წვრილი ერთეულებისა.

სსრ კავშირს ენიჭება უფლება თავისუფალი ტრანზიტისა პეტსამოს ოლქზე გავლით ნორვეგიაში და უკან დაბრუნებით, ისევე როგორც სსრ კავშირსა და შვეციას შორის საქონლის ტრანზიტის უფლება.

სსრ კავშირი და ფინეთი კისრულობენ ვალდებულებას არ დასდონ რაიმე კავშირი და არ მიიღონ მონაწილეობა კოალიციებში, რომლებიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის წინააღმდეგ.

ასეთია საზავო ხელშეკრულების ძირითადი პირობები. ისინი სავსებით შეესაბამებიან განცხადებას, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა გააკეთა რადიოთი წარმოთქმულ თავის სიტყვაში 1939 წლის 29 ნოემბერს:

„ჩვენი ღონისძიებების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოფილ იქნას უშიშროება საბჭოთა კავშირისა და განსაკუთრებით ლენინგრადისა მისი სამნახევარ მილიონიანი მოსახლეობით“.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც ერთგულია თავისი სამშვიდობო პოლიტიკის ამოცანებისა, არასოდეს ხელი არ აღუმართავს სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამას მჭერმეტყველურად მოწმობს ფინეთთან ურთიერთობის მთელი ისტორია. საბჭოთა მთავრობის ხელიდან მიიღო ფინეთმა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობა 1917 წლის 31 დეკემბერს. მას შემდეგ მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო იცავდა მშვიდობიან სახელშეკრულებო ურთიერთობას თავის მეზობელთან, რომელიც მუდამ როდი ეწეოდა მშვიდობიანი საბჭოთა ხალხის უფლებათა და ინტერესთა პატივისცემის პოლიტიკას და რომელიც ომის პლაცდარმს ამზადებდა ზედ ლენინგრადთან.

გაჩაღებულმა მეორე იმპერიალისტურმა ომმა საბჭოთა მთავრობის წინაშე დასვა სახელმწიფო საზღვრების უზრუნველყოფის გადაუდებელი ამოცანა. ეს არის საბჭოთა მთავრობის მოვალეობა საბჭოთა ხალხის წინაშე, რომელსაც არ სურს მონაწილეობა მიიღოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეტაკებაში, თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწევა და არავის მისცემს ნებას თავი ჩაახმევინოს ომში, რომელსაც განუზომელი უბედურება მოაქვს მთელი ქვეყნიერების ხალხთათვის. სსრ კავშირის მიერ მეზობელ ბალტიისპირა სახელმწიფოებთან დადებულმა ხელშეკრულებებმა გადასჭრეს საბჭოთა სახელმწიფო საზღვრების დაცვის ამოცანა. მათ ხელი შეუწყეს მშვიდობიანობის განმტკიცებას მთელს აღმოსავლეთ ევროპაში.

სსრ კავშირმა ფინეთის მთავრობასაც შესთავაზა სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ისეთი პირობებით, რომლებიც თანაბრად ხელსაყრელი იქნებოდა ორივე სახელმწიფოსათვის, არ შეეხებოდა მათს სუვერენულ უფლებებს და უზრუნველჰყოფდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების, კერძოდ ლენინგრადის უშიშროებას. განმარტავდა რა იმ სამშვიდობო ხელშეკრულების ამოცანებს, რომლის დადებაც საბჭოთა მთავრობას სურდა, ამხანაგი მ. ი. კალინინი ამბობდა:

„წინააღმდეგ იმ ტენდენციური ვერსიებისა, რასაც ავრცელებენ წრეები, რომელნიც, როგორც სჩანს, არ არიან ევროპის მშვიდობიანობით დაინტერესებულნი, ხსენებული მოლაპარაკების ერთადერთი მიზანია საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ურთიერთობის განმტკიცება და ორივე ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში“.

ეს მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა 1939 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როგორც ცნობილია, არ ყოფილა ბოლომდე მიყვანილი საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. მოლაპარაკების წარმატებით მსვლელობას მაშინ ხელს უშლიდა ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველი წრეების გავლენა, რომელნიც ოდნავადაც არ იყვნენ დაინტერესებულნი აღმოსავლეთ ევროპაში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარებით, არამედ, პირიქით, მთელ ძალას ხმარობდნენ, რათა ევროპის ამ კუთხეში გაეჩაღებინათ ომის ხანძარი და წარემართათ ცეცხლი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური წრეები აგულიანებდნენ ფინეთს, ისე როგორც პოლონეთსა და სხვა სახელმწიფოებს, საბჭოთა კავშირთან საომრად, ჰპირდებოდნენ „გარანტიებსა“ და დახმარებას ამ ომში, სთესდნენ ილუზიებს, ინგლის-საფრანგეთის დახმარებით აგებული სიმაგრეები წითელი არმიისათვის მიუწვდომელი არისო.

საკმარისი იყო სამი თვის საომარი მოქმედება, რომ ამ ილუზიების კვალიც კი არ დარჩენილიყო. ეს ილუზიები გაიფანტა იმ ანტისაბჭოთა ცილისწამებისა და სიცრუის ხშირ და მყრალ ნისლთან ერთად, რომლითაც ინგლის-საფრანგეთის მოსყიდული პრესა ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი.

მამაცმა წითელმა არმიამ დალეწა კარელიის ყელის სიმაგრენი, რომლებიც ინგლის-საფრანგეთის ტექნიკამ მიუვალად გამოაცხადა.

პატრიოტული სულისკვეთებით აღფრთოვანებულმა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა გვიჩვენეს, რომ არ არის ისეთი სიმაგრეები, რომელთა აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, რომ წითელი არმია საბჭოთა კავშირის საიმედო დამცველია და ყველა მისი მტრისათვის მრისხანე მახვილია.

ჩაიფუშა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა გეგმებიც—ევროპის მთელ სივრცეზე ომის გაჩაღების გეგმები. ვერ უშველეს ვერც საექვო გამოსვლებმა ერთა ლიგაში, ვერც მუქარამ, ვერც მოსყიდვამ. ილუზია აღმოჩნდა ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ შეპირებული დახმარება. ამაოდ იჭაჭებოდა იმპერიალისტური პრესა, მოუწოდებდა რა მოხალისეებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. მილიონობით მშრომელთა თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის მხარეზე იყო. ცხადი გახდა, რომ ომის საერთაშორისო პროვოკატორები ზრუნავენ მხოლოდ ერთი რამისათვის, იმისათვის, რომ ყველა საშუალებით განაგრძონ აღმოსავლეთში შიშიანობის, საომარი მოქმედების, ბრძოლისა და მტრობის მდგომარეობა.

მოხდა ის, რისი გათვალისწინებაც ადვილად შეეძლო ყოველ ადამიანს, ვინც კი ცხოველური გაბოროტებით არ იყო დაბრმავებული, ვინც კი მკვეხარა ბურჟუაზიული პრესის მიერ არ იყო გაბრიყვებული. საბჭოთა კავშირმა, ომის გამჩაღებელთა ცდების წინააღმდეგ, ძალის საშუალებით უზრუნველჰყო ის უშიშროება თავისი საზღვრებისათვის, რომელსაც მან არა თავისი მიზეზით ვერ მიაღწია მშვიდობიან მოლაპარაკებაში. მაგრამ შეცვლილ პირობებშიც საბჭოთა კავშირი თავისი სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულია. ამას მთელ მსოფლიოს უჩვენებს ფინეთთან ახლა დადებული საზავო ხელშეკრულება. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთადერთი ამოცანა, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთით ახლა გადაწყვეტილია, საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფაა. ეს მიღწეულია იმით, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადმოდის კარელიის ყელი და ლადოგის ტბის ჩრდილოეთი სანაპირო, საბჭოთა კავშირს 30 წლის იჯარით ეძლევა ხანკოს ნახევარკუნძული მის გარშემო მდებარე საზღვაო ტერიტორიითურთ, იქ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად, რომელიც შესძლებს დაიცვას აგრესიისაგან ფინეთის ყურის შესასვლელი.

საბჭოთა ხალხმა მიაღწია იმას, რაც მას უნდოდა. ამას იგი უნდა უმადლოდეს თავის გმირ წითელ არმიას, რომლის საგმირო საქმეთა ხსოვნა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხში. ამას იგი უნდა უმადლოდეს თავისი მთავრობის ბრძნულ და მტკიცე პოლიტიკას, მთავრობისა, რომელიც არასოდეს არ დასთმობს საბჭოთა ხალხის ინტერესებს და შესძლებს თავისი გაიტანოს საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანობისა, უშიშროებისა და მყუდროებისათვის.

მშვიდობიანობა ზეიმობს საბჭოთა კავშირის საზღვრებზე. ეს სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის ახალი დიდი გამარჯვებაა. ამ გამარჯვებას სიხარულით მიესალმება მთელი მოწინავე კაცობრიობა, რომელიც დაინტერესებულია დანაშაულებრივი იმპერიალისტური ომის შეწყვეტით. ცილისმწამებელნი უმწეონი არიან და უნდა დადუმდნენ. ომის გამჩაღებლებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. მათ დაჰკარგეს ერთერთი თავისი უმნიშვნელოვანესი ბაზა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაში. საბჭოთა კავშირი ურყევად დგას როგორც მშვიდობიანობის გუშაგი, როგორც მშრომელთა დასაყრდენი და იმედი.

**„პრავდის“ მოწინავე, 13/III.**

## ოპერატიული ცნობა

### ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

12 მარტის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

O

13 მარტის დილის 7 საათისათვის ჩვენმა ჯარებმა ორ საათიანი იერიშის შემდეგ დაიკავეს ქალაქი **ვიბორგი.**

ფრონტის დანარჩენ უბნებზე დღის 12 საათამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

12 საათზე ლენინგრადის დროით საბრძოლო მოქმედებანი ფრონტის ყველა უბანზე, საზავო ხელშეკრულების შესაბამისად, შესწყდა.

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ**

### საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

**გაიხსნება 15 მარტს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში.**

**ყრილობის დღის წესრიგი:**

1. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში —მომხსენებელი ამხ. კ. ჩარკვიანი.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. ნ. ჩარკვიანი.
3. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

**კ. ჩარკვიანი**

O

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს 14 მარტს დილის 10 საათიდან საღამოს 12 საათამდე და 15 მარტს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საორგანიზაციო კომისიაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 5. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობის პირდაპირ).

საორგანიზაციო კომისიის ტელეფონები: 3-66-20 და 3-19-82.

## ახალი სავაჭრო ხელშეკრულება ირანთან

დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ირანის სავაჭრო დელეგაციას შორის, რის შედეგადაც 1940 წლის 10 მარტს პარაფირებულ იქნა ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ირანს შორის ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხელშეკრულება პარაფირებულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის ამხ. **ა. ი. მიქოიანის** მიერ და სსრ კავშირის ირანელი სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. **პ. ი. ალექსეევის** მიერ.

ირანის მხრივ ხელშეკრულება პარაფირებულია ირანის მოსკოველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ **საედის** და ირანის მთავრობის რწმუნებულის ბ-ნ **საიახის** მიერ.

ხელშეკრულება უახლოეს დროში იქნება ხელმოწერილი ქ. თეირანში.

## სესხის ობლიგაციების დიდი მოგებანი

1939 წლის ტირაჟებში სახელმწიფო საშინაო სესხთა ობლიგაციების 21.000-ზე მეტმა პატრონმა მიიღო დიდი თანხის მოგება. წარდგენილი ობლიგაციებით სესხის მქონეთ მიეცა 18.200.000 მანეთის დიდი მოგება (1.000-დან 25.000 მანეთამდე).

## საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ

7-12 მარტის განმავლობაში მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება—სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, სსრ კავშირის რწმუნებულნი—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ა. ა. ჟდანოვი და ბრიგადის მეთაური ამხ. ა. მ. ვასილევსკი, ხოლო, მეორე მხრივ, ფინეთის რესპუბლიკის რწმუნებულნი—ფინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი რ. რიუტი, მინისტრი ი. კ. პაასიკივი, გენერალი კ. რ. ვალდენი და პროფესორი ვ. ვოიონმაა.

მოლაპარაკება დამთავრდა იმით, რომ 1940 წლის 12 მარტს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება.

საზავო ხელშეკრულებისა და მასთან დართული ოქმის ტექსტები მოყვანილია ქვემოთ.

## საზავო ხელშეკრულება

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ერთი მხრივ, და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მეორე მხრივ,

ხელმძღვანელობენ რა სურვილით —შესწყვიტონ ორივე ქვეყანას შორის ამტყდარი საომარი მოქმედება და შექმნან ერთმანეთს შორის მტკიცე სამშვიდობო ურთიერთობა,

დარწმუნებული არიან რა, რომ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება ურთიერთი უშიშროების უზრუნველყოფის, მათ შორის ქალაქ ლენინგრადისა და ქალაქ მურმანსკის, აგრეთვე მურმანსკის რკინიგზის უშიშროების უზრუნველყოფის ზუსტ პირობათა განსაზღვრა,

საჭიროდ სცნეს ამ მიზნით დასდონ საზავო ხელშეკრულება და თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი,

ალექსანდრე მიხეილის-ძე ვასილევსკი, ბრიგადის მეთაური,

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა:

რისტო რიუტი, ფინეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,

იუხო კუსტი პაასიკივი, მინისტრი,

კარლ რუდოლფ ვალდენი, გენერალი,

ვიაინე ვოიონმაა, პროფესორი.

აღნიშნული რწმუნებულნი, თავიანთ რწმუნებათა ურთიერთ წარდგენის შემდეგ, რომლებიც სათანადო ფორმით და სრული წესით შედგენილად იქნენ ცნობილი, შეთანხმდნენ შემდეგში:

**მუხლი I.**

საომარი მოქმედება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დაუყოვნებლივ სწყდება ამ ხელშეკრულებასთან დართული ოქმით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი II.**

სახელმწიფო საზღვარი სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მყარდება ახალი ხაზით, რომლითაც სსრ კავშირის ტერიტორიის შემადგენლობაში შედის მთელი კარელიის ყელი ქ. ვიბორგით (ვიპური) და ვიბორგის ყურით კუნძულებითურთ, ლადოგის ტბის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპირო ქალაქ კექსჰოლმით, სორტავალათი და სუოიარვითურთ, ფინეთის ყურის მთელი რიგი კუნძულები, მერკიარვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ქ. კუოლაიარვითურთ, რიბაჩისა და სრედნის ნახევარკუნძულთა ნაწილი — ამ ხელშეკრულებასთან დართული რუკის თანახმად.

საზღვრის ხაზის უფრო დაწვრილებითი აღწერა დადგენილი იქნება ხელშეკრულების დამდები მხარეების წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული კომისიის მიერ, რომელიც უნდა შეიქმნას ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ათი დღის ვადაში.

**მუხლი III.**

ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს თავი შეიკავოს მეორე მხარეზე ყოველგვარი თავდასხმისაგან და არ დასდოს არავითარი კავშირი და არ მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში.

**მუხლი IV.**

ფინეთის რესპუბლიკა თანხმობას აცხადებს საბჭოთა კავშირს 30 წლის ვადით იჯარით მისცეს, საბჭოთა კავშირის მიერ ყოველწლიურად 8 მილიონი ფინური მარკის გადახდის პირობით, ხანკოს ნახევარკუნძული და მის გარშემო მდებარე საზღვაო ტერიტორია, ამ კუნძულის სამხრეთით და აღმოსავლეთით 5 მილის რადიუსზე და დასავლეთითა და ჩრდილოეთით 3 მილის რადიუსზე, და მთელი რიგი კუნძულები, რომლებიც მას ესაზღვრებიან, დართული რუკის შესაბამისად, — იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად, რომელიც შესძლებს დაიცვას აგრესიისაგან ფინეთის ყურის შესასვლელი, ამასთან საზღვაო ბაზის დაცვის მიზნით საბჭოთა კავშირს უფლება ენიჭება საჭირო რაოდენობით იყოლიოს იქ თავის ხარჯზე სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალები.

ფინეთის მთავრობას ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ათი დღის განმავლობაში გაჰყავს ხანკოს ნახევარკუნძულიდან მთელი თავისი ჯარი, და ხანკოს ნახევარკუნძული მისი მოსაზღვრე კუნძულებითურთ გადადის სსრ კავშირის გამგებლობაში, ხელშეკრულების ამ მუხლის შესაბამისად.

**მუხლი V.**

სსრ კავშირი ვალდებულებას კისრულობს გაიყვანოს თავისი ჯარი პეტსამოს ოლქიდან, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ ნებაყოფლობით დაუთმო ფინეთს, 1920 წლის საზავო ხელშეკრულების თანახმად.

ფინეთი კისრულობს, როგორც ეს 1920 წლის საზავო ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არ იყოლიოს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის თავისი სანაპიროს წყლებში სამხედრო და სხვა შეიარაღებული გემები, გარდა 100 ტონაზე ნაკლები წყალწყვის შეიარაღებული გემებისა, რომლებიც ფინეთს უფლება აქვს იყოლიოს განუსაზღვრელი რაოდენობით, აგრეთვე იყოლიოს არაუმეტეს 15 სამხედრო და სხვა შეიარაღებული გემისა, რომელთა ტონაჟიც თვითეულისათვის არ უნდა აღემატებოდეს 400 ტონას.

ფინეთი კისრულობს, როგორც ეს იმავე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არ იყოლიოს აღნიშნულ წყლებში წყალქვეშა ნავები და შეიარაღებული საჰაერო გემები.

ფინეთი აგრეთვე კისრულობს, როგორც ეს იმავე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არ მოაწყოს ამ სანაპიროზე სამხედრო ნავსადგურები, სამხედრო ფლოტის ბაზები და სამხედრო სარემონტო სახელოსნოები იმაზე მეტი მოცულობისა, რაც საჭიროა აღნიშნული გემებისა და მათი შეიარაღებისათვის.

**მუხლი VI.**

საბჭოთა კავშირს და მის მოქალაქეებს, როგორც ეს 1920 წლის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ენიჭებათ უფლება თავისუფალი ტრანზიტისა პეტსამოს ოლქზე გავლით ნორვეგიაში და უკან დაბრუნებით, ამასთან საბჭოთა კავშირს უფლება ენიჭება დააარსოს პეტსამოს ოლქში საკონსულო.

ის ტვირთი, რომელიც პეტსამოს ოლქზე გავლით სსრ კავშირიდან ნორვეგიაში გააქვთ, აგრეთვე ის ტვირთი, რომელიც იმავე ოლქზე გავლით ნორვეგიიდან სსრ კავშირში შეაქვთ, თავისუფლდება გასინჯვისა და კონტროლისაგან, გარდა მხოლოდ ისეთი კონტროლისა, რაც საჭიროა სატრანზიტო მიმოსვლის მოწესრიგების მიზნით, აგრეთვე არ დაიბეგრება საბაჟო გადასახადებით, სატრანზიტო და სხვა გამოსაღებით.

სატრანზიტო ტვირთის ზემოთაღნიშნული კონტროლი დაიშვება მხოლოდ ისეთი ფორმით, რომელსაც ასეთ შემთხვევებში იცავენ საერთაშორისო მიმოსვლის არსებულ ჩვეულებათა მიხედვით.

სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც პეტსამოს ოლქზე გავლით მიემგზავრებიან ნორვეგიაში და უკან — ნორვეგიიდან სსრ კავშირში, უფლება აქვთ თავისუფალი სატრანზიტო მგზავრობისა იმ პასპორტების საფუძველზე, რომლებსაც სათანადო საბჭოთა ორგანოები გასცემენ.

მომქმედ საერთო დებულებათა დაცვით საბჭოთა შეუიარაღებელ საფრენოსნო აპარატებს უფლება აქვთ საჰაერო მიმოსვლისა პეტსამოს ოლქზე გავლით სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის.

**მუხლი VII.**

ფინეთის მთავრობა საბჭოთა კავშირს ანიჭებს სსრ კავშირსა და შვეციას შორის საქონლის ტრანზიტის უფლებას, და იმ მიზნით, რომ ეს ტრანზიტი განვითარდეს უმოკლესი სარკინიგზო გზით, სსრ კავშირი და ფინეთი საჭიროდ სცნობენ ააშენონ, თვითეულმა მხარემ თავის ტერიტორიაზე, შეძლებისგვარად 1940 წლის განმავლობაში, რკინიგზა, რომელიც ქ. კანდალაკშას ქ. კემიარვისთან შეაერთებს.

**მუხლი VIII.**

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ განახლდება ეკონომიური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის და ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეები დაიწყებენ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

**მუხლი IX.**

ეს საზავო ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი ხელმოწერისთანავე, და შემდგომ რატიფიცირებულ უნდა იქნას.

სარატიფიკაციო აქტების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ათი დღის განმავლობაში, ქ. მოსკოვში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალად, რუსულ, ფინურ და შვედურ ენაზე თვითეული, ქ. მოსკოვში, 1940 წლის 12 მარტს.

**ვ. მოლოტოვი.**
**ა. ჟდანოვი.**
**ა. ვასილევსკი.**

**რისტო რიუტი.**
**ი. პაასიკივი.**
**რ. ვალდენი.**
**ვიაინე ვოიონმაა.**

## ოქმი

### სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წლის 12 მარტს დადებული საზავო ხელშეკრულებისა

ხელშეკრულების დამდები მხარეები ადგენენ საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ხელშეკრულებით დაწესებულ სახელმწიფო საზღვარს იქით ჯარის გაყვანის შემდეგ წესს:

1. საომარ მოქმედებას ორივე მხარე სწყვეტს 1940 წლის 13 მარტს 12 საათზე ლენინგრადის დროით.

2. საომარი მოქმედების შეწყვეტის დაწესებული საათიდან ჯარების მოწინავე ნაწილთა განლაგების პუნქტებს შორის წესდება კილომეტრიანი ნეიტრალური ზოლი, ამასთან პირველი დღის განმავლობაში ერთი კილომეტრით უკან იწევს იმ მხარის ჯარის ნაწილი, რომელიც მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფება, ახალი სახელმწიფო საზღვრის მიხედვით.

3. ახალ სახელმწიფო საზღვარს იქით ჯარის უკან დაწევა და საზღვრისაკენ მეორე მხარის ჯარის წაწევა იწყება 1940 წლის 15 მარტს 10 საათიდან მთელი საზღვრის გასწვრივ ფინეთის ყურიდან ლიეკსამდე და 16 მარტს 10 საათიდან ლიეკსას ჩრდილოეთით. ჯარის უკანდაწევა ხდება იმგვარად, რომ იგი ყოველდღიურად უკან იხევს სულ ცოტა 7 კილომეტრით დღე-ღამეში, ამასთან მეორე მხარის ჯარის წაწევა სწარმოებს იმ ანგარიშით, რომ უკან დაწეული ჯარის ზურგის ნაწილებსა და მეორე მხარის ჯარის ახალ საზღვრისაკენ წაწეულ მოწინავე ნაწილებს შორის მანძილი სულ მცირე 7 კილომეტრი იყოს.

4. მე-3 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო საზღვრის ცალკეული უბნებიდან ჯარის უკან დაწევისათვის წესდება შემდეგი ვადები:

ა) მდ. ტუნცა-იოკის, კუოლაიარვის, ტაკალას სათავეების, იოუკამოიარვის ტბის აღმოსავლეთ ნაპირის უბნიდან როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ჯარის უკან დაწევა მთავრდება 1940 წლის 20 მარტს 20 საათისათვის;

ბ) ლატვის რაიონში კუხმონიემის სამხრეთით მდებარე უბნიდან ჯარის უკან დაწევა მთავრდება 1940 წლის 22 მარტს 20 საათისათვის;

გ) ლონგავაარას, ვიარტსილას, სადგურ მატკასელკის უბნიდან ორივე მხარის ჯარის უკან დაწევა მთავრდება 1940 წლის 26 მარტს 20 საათისათვის;

დ) სადგ. მატკასელკის, კოიცანლახტის უბნიდან ჯარის უკან დაწევა მთავრდება 1940 წლის 22 მარტს 20 საათისათვის;

ე) კოიცანლახტის, სადგ. ენსოს უბნიდან ჯარის უკან დაწევა მთავრდება 1940 წლის 25 მარტს 20 საათისათვის;

ვ) სად. ენსოს, კუნძულ ვატეს უბნიდან ჯარის უკან დაწევა მთავრდება 1940 წლის 19 მარტს 20 საათისათვის.

5. წითელი არმიის ჯარის ევაკუაცია პეტსამოს რაიონიდან დამთავრდეს 1940 წლის 10 აპრილისათვის.

6. ორივე მხარის სარდლობა ვალდებულებას კისრულობს სახელმწიფო საზღვარს იქით ჯარის უკან დაწევის დროს მიიღოს საჭირო ზომები ქალაქებსა და ადგილებში, რომლებიც მეორე მხარის ხელში გადადის, მათი დაცვისათვის და ჯეროვანი ზომები მიიღოს იმისათვის, რომ ქალაქები, დაბები, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობანი (ხიდები, კაშხალები, აეროდრომები, ყაზარმები, საწყობები, რკინიგზის კვანძები, სამრეწველო საწარმონი, ტელეგრაფი, ელექტროსადგურები) დაცულ იქნას დაზიანებისა და განადგურებისაგან.

7. ყველა საკითხს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას ერთი მხარის მიერ მეორისათვის ამ ოქმის მე-6 პუნქტში აღნიშნული რაიონების, პუნქტების, ქალაქებისა და სხვა ობიექტების გადაცემისას, სწყვეტენ ორივე მხარის წარმომადგენელნი ადგილზე, რისთვისაც ორივე არმიის სვლის თვითეულ ძირითად გზაზე სარდლობა გამოჰყოფს სპეციალურ რწმუნებულებს.

8. სამხედრო ტყვეების გაცვლა ხდება შეძლებისგვარად უმოკლეს ვადაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე.

**ვ. მოლოტოვი.**
**ა. ჟდანოვი.**
**ა. ვასილევსკი.**

**რისტო რიუტი.**
**ი. პაასიკივი.**
**რ. ვალდენი.**
**ვიაინე ვოიონმაა.**

## მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკის ახალი გამარჯვება

ცნობა, რომ 12 მარტს მოსკოვში სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, ელვის სისწრაფით გავრცელდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილის მებრძოლებში.

საღამოს 5 საათზე კლუბის დარბაზი გაივსო № ნაწილის მეომრებით, მეთაურებითა და პოლიტიკური მუშაკებით.

თავიანთი საყვარელი სამშობლოსათვის უდიდესი სიამაყის გრძნობით ისმენდნენ დამსწრენი ამხ. აბაულინის ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო.

მიტინგი ხანგრძლივი ტაშის გრიალით შეეგება ცნობას მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკის ახალი გამარჯვების შესახებ. მებრძოლნი, მეთაურნი და პოლიტმუშაკნი მხურვალედ მიესალმნენ ხალხთა დიდ ბელადს ბრძენ **სტალინს.**

ტრიბუნაზე ადის უფროსი ლეიტენანტი ამხ. დუბოსარსკი.

— კარელიის ყელის სიმაგრეები, რომლებიც ინგლისმა და საფრანგეთმა მიუვალად გამოაცხადეს, თავისი მძლავრი შეტევით დასცა ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ.

უძლური გაბოროტებით შფოთავენ ომის გამჩაღებელნი, რომელთაც დაჰკარგეს ერთერთი თავიანთი უმნიშვნელოვანესი ბაზა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განზრახული ლაშქრობისა. სამაგიეროდ ზეიმობს მთელი მოწინავე კაცობრიობა, რომელიც დაინტერესებულია მეორე იმპერიალისტური ომის შეწყვეტით.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები — კურსანტი შამიანოვი, მებრძოლნი ბალიაბინი და ქუპიცა. ამაყად გაისმის სახელოვან პატრიოტთა სიტყვები. ისინი მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას მთელს მსოფლიოში.

№ ნაწილის მთელმა შემადგენლობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პირობა დასდო კიდევ უფრო აამაღლოს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხი, მუდამ მზად იყოს მტრის მისსავე ტერიტორიაზე დასამარცხებლად.

## კიდევ უფრო განვამტკიცებთ წითელი არმიის საბრძოლო ძლიერებას

გუშინ წითელი არმიის საოლქო სახლში გაიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის, პოლიტსამმართველოს და საოლქო განყოფილებათა მებრძოლების, მეთაურების, პოლიტმუშაკებისა და ნებითდაქირავებულ მუშაკთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულების დადებას.

ინფორმაცია ხელშეკრულების დადების შესახებ გააკეთა შტაბის სამხედრო კომისარმა, პოლკის კომისარმა ამხ. პოპკოვმა.

— ამ ხელშეკრულებით, — სთქვა ამხ. პოპკოვმა,—ჩაიფუშა იმ ინგლისელ-ფრანგ ომის გამჩაღებელთა გეგმები, რომელნიც ცდილობდნენ სკანდინავიის ნახევარკუნძული გაექციათ პლაცდარმად სსრ კავშირზე თავდასხმისათვის. საბჭოთა კავშირმა უზრუნველჰყო რევოლუციის აკვნის, ლენინის ქალაქისა და თავისი ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრების უშიშროება. ჩვენ ერთხელ კიდევ დავუმტკიცეთ მთელს მსოფლიოს, რომ სსრ კავშირი პატივისცემით ეპყრობა და იცავს მცირე სახელმწიფოთა ინტერესებს.

— საბჭოთა ხალხი, — სთქვა ამხ. ნესტერენკომ, — დიდი აღფრთოვანებით შეეგება ფინეთის რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების დადებას. ასეთი ხელშეკრულება და ასეთ პირობებში ჯერ მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ დაუდვია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო, ჩვენ დავთანხმდით ზავი დადებას იმიტომ, რომ ყოველთვის მშვიდობიანობის საქმეს ვიცავთ.

ამხ. ნესტერენკოს უკანასკნელი სიტყვები ტაშით დაიფარა. გაისმა შეძახილები: **„გაუმარჯოს ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას!“. „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“.** დარბაზში ძლიერმა „ვაშამ“ იგრიალა.

ამხ. შიდოვმა, ფრიდმანმა, სმირნოვმა და სხვებმა წარმოსთქვეს სიტყვა, რითაც მიესალმნენ მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკის ახალ გამარჯვებას.

შეკრებილთ ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც აღუთქვეს მთელ საბჭოთა ხალხს, მთავრობასა და ლენინ-სტალინის დიადპარტიას, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლნი, მეთაურნი, პოლიტმუშაკნი და ნებით-დაქირავებული მუშაკნი დაუღალავად იბრძოლებენ წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით წინ, ახალი გამარჯვებისაკენ!

## უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის დნეპრის კამენსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი

### საქართველოს სსრ ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს 25 თებერვლის სახელობის და მეორე სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობების კოლმეურნეებს, კოლმეურნე ქალებს, ტრაქტორისტებს და საკოლმეურნეო ინტელიგენციას

ძვირფასო ამხანაგებო!

კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ჩვენ წავიკითხეთ თქვენი წერილი. ყველა კოლმეურნეები სულით და გულით მოგიძღვნით მადლობას თქვენი წერილისათვის და გიგზავნით ჩვენს საპასუხო მხურვალე სალამს ჩვენი აყვავებული საბჭოთა უკრაინიდან.

ძალიან მოხარული ვართ იმ წარმატებებისა და კარგი მაჩვენებლებისათვის, რაც გაქვთ თქვენს მუშაობაში. ვინაიდან ჩვენ თქვენთან ერთად ვცხოვრობთ და ვშრომობთ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მრავალეროვანი დიადი ხალხის დიდ ოჯახში. ჩვენ ყველანი თქვენთან ერთად გამთბარი ვართ მთელი მსოფლიოს მშრომელთა საუკეთესო მეგობრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მამობრივი მზრუნველობით და ვაშენებთ ახალ შეძლებულ, კულტურულ და ბედნიერ ცხოვრებას.

ამ პირველ წერილში გვსურს გიამბოთ ჩვენს წარმატებებზე.

1939 წელს 2640 ჰექტარ ფართობიდან მარცვლეულის მოსავალი ავიღეთ 17,7 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე. № 3 ბრიგადამ (ბრიგადირი — ვასილ კირიჩენკო) მარცვლეულის მოსავალი 342 ჰექტარ ფართობიდან აიღო 27 ცენტნერი ჰექტარზე. ზევრმა რგოლმა შვრიის მოსავალი აიღო 26 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე. რგოლის ხელმძღვანელმა პისკოხამ სამწლიანი ბაღიდან, 14 ჰექტარიდან, მიიღო გარგარის მოსავალი 25 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე. ეს მაჩვენებლები თითქმის ერთნახევრად აღემატებიან იმ მოსავალს, რომელზედაც ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე ლაპარაკობდა.

საკმაოდ დიდი წარმატებები გვაქვს მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც. ჩვენ განვახორციელეთ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება მეცხოველეობის განვითარების შესახებ. უკვე ახლა კალინინის სახელობის ჩვენს კოლმეურნეობას აქვს 4 ფერმა: მეცხოველეობის, რომელშიც 296 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია, მეღორეობისა — 331 სული ღორით, მეცხვარეობისა — 558 სული ცხვრით, აგრეთვე მეფრინველეობის ფერმა და საფუტკრე.

ჩვენმა მწყემსებმა პ. იაშჩენკომ, ა. ბეზროდნიმ და ი. შაპოვალმა მიიღეს თვითეულმა 160 ბატკანი 100 დედა-ცხვრისაგან. მეღორე ქალებმა ტარასენკომ და ჩორნაიამ თვითეული დედა-ღორისაგან მიიღეს 21.9 საქმიანი გოჭი.

შესანიშნავ ეპოქაში ვცხოვრობთ, ამხანაგებო!

ჩვენში, ისევე როგორც თქვენშიც, იზრდება კულტურა, იზრდებიან შესანიშნავი კადრები. წელს ჩვენ დავამთავრეთ დიდი ორსართულიანი საკოლმეურნეო კლუბის მშენებლობა, რომლის დარბაზიც 500 კაცს იტევს. გვყავს სასულე ორკესტრი, გვაქვს ბიბლიოთეკა და სხვა კულტურული გასართობები. ჩვენი ბავშვები სწავლობენ სკოლებში, ბევრი მათგანი უმაღლესი და საშუალო სკოლების სტუდენტები არიან.

ნოყიერი საკოლმეურნეო მიწა უხვად უნაზღაურებს კოლმეურნეებს სტახანოვურ შრომას. 1939 წელს შრომადღეზე ჩვენ მივიღეთ თითქმის ნახევარი ფუთი პური და 4 მან 21 კაპ. ფულად. შეძლებულად ცხოვრობენ კოლმეურნეები. კოლმეურნე ამხ. ველიჩკომ გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღო 782 ფუთი პური და 7 ათას 35 მანეთი ფულად. პავლე ბონდარენკომ მიიღო 600 ფუთი პური და 5474 მანეთი ფულად. ასეთი კოლმეურნეები ჩვენში ძალიან ბევრია.

ამ წარმატებებს ჩვენ მივაღწიეთ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

1940 წლისათვის ჩვენ ავიღეთ ვალდებულება:

მივაღწიოთ მარცვლეულის მოსავალს 150 ფუთს თვითეულ ჰექტარზე. მივიღოთ ბატკნების ნამატი 180 სული ყოველ 100 დედა-ცხვარზე, საქმიანი გოჭების ნამატი 25 სული თითო დედა-ღორზე, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 2500 ლიტრი რძე, მივაღწიოთ ბოსტნეული კულტურების მაღალ მოსავალს. ეს ამოცანები ადვილი არ არის, მაგრამ შეუპოვარი სტახანოვური შრომით დავძლევთ ყველა სიძნელეს და ამ ამოცანებს შევასრულებთ.

1939 წლის მუშაობით ჩვენ მოვიპოვეთ გამოფენაში მონაწილეობის უფლება. 1940 წელს ჩვენს წარმომადგენლებს გავგზავნით საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც ისინი შეგხვდებიან თქვენ.

გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩამოხვიდეთ ჩვენთან. ნახოთ ჩვენი მუშაობა, ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება.

**ზაპოროჟიეს ოლქის დნეპრის კამენსკის რაიონის ჟდანოვსკის სოფლსაბჭოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის** [illegible]

## უკრაინის სსრ [illegible] დელეგაციის ჩამოსვლა

[illegible]

## გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე

(სტალინირი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

[illegible]

# პარტიული ცხოვრება

# საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები

## დამთავრდა აფხაზეთის XVII საოლქო პარტიული კონფერენცია

(სოხუმი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

13 მარტს, დილით, მუშაობა დაამთავრა აფხაზეთის XVII საოლქო პარტიულმა კონფერენციამ. დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ამხ. კ. ბეჟვაიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში საანგარიშო პერიოდში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. აფხაზეთის 255 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 35.161 მეურნეობა — გლეხურ მეურნეობათა 89,4 პროცენტი. კოლმეურნეობათა წლიური შემოსავალი გაიზარდა 36.7 პროცენტით, გადააჭარბა 84.700.000 მანეთს. მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვს შემატა 7 კოლმეურნეობა.

გაიზარდა და გაფართოვდა მრეწველობა. ტყვარჩელის მაღარომ, ტყვარჩელის თბოელსადგურმა, ქალაქ სოხუმის საწარმოებმა დიდი ზრდა გვიჩვენეს. მაგრამ მათს მუშაობაში ბევრი ნაკლიც არის, — კერძოდ, ეს შეეხება ტყვარჩელის მაღაროს, სადაც იანვრისა და თებერვლის გეგმები ვერ შეასრულეს.

მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად სერიოზულ ნაკლსაც აქვს ადგილი ახლად დასახლებულ კოლმეურნეობათა მუშაობაში. პარტიის რაიკომებმა და, განსაკუთრებით გუდაუთის რაიკომმა და მისმა ყოფილმა მდივანმა კვეკვესკირმა სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება ვერ გაუწიეს ახლად დასახლებულ კოლმეურნეობებს.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულია 5240 კაცი. მაგრამ სუსტი იყო მუშებისა და კოლმეურნეების მიზიდვა პარტიაში. მიღებულთა შორის მუშები შეადგენენ 13 პროცენტს, კოლმეურნეები — 25-ს.

პარტიული პროპაგანდის საქმეში ჯერ კიდევ არ მომხდარა ძირითადი გარდატეხა. 970 კომუნისტი ჯერაც არ შესდგომია პარტისტორიის შესწავლას. ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი ოდარდელად ეკიდება ამ საქმეს. მაგალითად, აფკავშირის თავმჯდომარე კანანოვი, გალის პირველი უბნის მოსამართლე ნაყოფია, ჯანმრთელობის განყოფილების გამგე შონია დროის უქონლობის მომიზეზებით ჯერ არ შესდგომიან პარტიის ისტორიის შესწავლას.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სხვა საკითხებს და მიუთითა არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების გზებზე.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 28 ამხანაგმა. ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. არშბამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში სუსტი იყო ახალგაზრდა კომუნისტებზე დახმარება. მარტო ოჩამჩირის რაიონის პარტორგანიზაციებში 151 სტაჟგადაცილებული კომუნისტი ირიცხება. მათ შორის არიან კანდიდატები 1936 წლიდან. რაიკომს არ მიუღია ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სოხუმის პარტრაიკომის მდივანმა ამხ. დ. ალანიამ ილაპარაკა პარტიაში ხელაღებით მიღების ფაქტებზე. ხელაღებით მიღებას ადგილი ჰქონდა დრანდისა და სოხუმის რაიალმასკომების პირველად პარტორგანიზაციებში, სადაც ერთს კრებაზე პარტიაში ღებულობდნენ ათობით ამხანაგს. მოკამათე შეჩერდა აგრეთვე სოხუმის რაიონში კართოფილის ფართოდ განვითარების საკითხებზე.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. პ. ჭკადუამ ილაპარაკა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საკითხებზე. მან მიუთითა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისადმი პარტრაიკომების სუსტ დახმარებაზე.

გუდაუთის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. გულიამ აღნიშნა კადრებთან მუშაობაში არსებული დეფექტები: ახლად დაწინაურებულ ამხანაგებს ზოგჯერ არ უწევენ სათანადო დახმარებას, მათ მუშაობის გაცნობამდე ხსნიან სამუშაოდან. ასე მოხდა, მაგალითად, ფსირცხაში, სადაც სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე არგუნი დაწინაურებისთანავე მოხსნეს სამუშაოდან. გამოირკვა, რომ მას ჩინებულად შეუძლია მუშაობა. თუ სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევენ.

აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ქ. ჭიჭინაძე შეჩერდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მტკივნეულ საკითხებზე.

გალის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ქსენია გაბილაიამ სამართლიანად გააკრიტიკა პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაობა. მან მიუთითა, რომ საოლქო კომიტეტი სათანადო დახმარებას ვერ უწევს პროპაგანდის დარგის მუშაკებს, ერთხელაც კი არ მოუწვევიათ პროპაგანდის დარგის მუშაკთა თათბირი გამოცდილების გაზიარების მიზნით. არ იწყობა ლექციები თვით ლექტორებისათვის, საოლქო კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარი სუსტად მუშაობს. საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ცოცხალ ხელმძღვანელობას ვერ უწევს რაიკომებს პროპაგანდის უკეთ დაყენების საქმეში.

შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის უფროსმა ამხ. ა. ცატუროვმა ილაპარაკა გზის მშენებლობის მდგომარეობაზე. მიმდინარე წელს მშენებლობისათვის გადადებულია 50 მილიონი მანეთი; რკინიგზის მშენებლობა მთლიანად უნდა დამთავრდეს 1942 წელს. მშენებლობის ძირითად სამუშაოზე შემოღებულია სამცვლიანი მუშაობა.

კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ტუსკაძემ ილაპარაკა აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. აჩიგვარის, მიქოიანის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კომკავშირული მუშაობა ჩაიშალა, პარტორგანიზაციამ დახმარება და ხელმძღვანელობა არ გაუწია კომკავშირულ ორგანიზაციას.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. კალანდია (სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე), პ. თოდუა (გალის პარტრაიკომის მდივანი), ნ. ბოკუჩავა (იუსტიციის სახალხო კომისარი), ს. მათითაშვილი (ფინ. სახ. კომისარი), ჯანჯღავა (საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანი), სტარცევი (პარტიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. გამგე), ბგანბა (მიწათმოქმედების სახალხო კომისარი) და სხვები.

კონფერენციაზე ცოტა ილაპარაკეს პარტიული პროპაგანდის ნაკლოვანებებზე. ადგილი ჰქონდა ამ დარგში ნაკლთა შემამსუბუქების ცდას. მაგალითად, საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ჯიქია შეეცადა თავის გამოსვლაში უარეყო ამხ. გაბილაიას სამართლიანი კრიტიკა. კონფერენციაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა ინტელიგენციასთან მუშაობის სუსტ მხარეებზე.

კონფერენციამ საოლქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. შემდეგ მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის.

კონფერენციამ აირჩია პარტიის საოლქო კომიტეტის 53 წევრისა და 17 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე სარევიზიო კომისია და დელეგატები საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე გასაგზავნად.

დელეგატები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ საოლქო კომიტეტის პლენუმის შემადგენლობაში, აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებად ერთხმად არჩეული არიან დიდი **სტალინი** და მისი ღირსეული მოწაფე ამხანაგი **ლ. პ. ბერია**. დელეგატებად აგრეთვე არჩეულ იქნენ ამხანაგები: ვ. ბაქრაძე, მ. ბარამია, ქ. ჭიჭინაძე, კ. ბეჟვაია, ცაცა ქარდავა, ნადია აბლოთია და სხვები.

O

13 მარტს შესდგა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც ბიუროში აირჩია 7 წევრი და 2 კანდიდატი. პლენუმმა საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **მ. ბარამია**, მეორე მდივნად — **ი. ბჟანია**, მდივნად კადრების დარგში — **კ. ცეკვავა**, ხოლო პროპაგანდის დარგში — **ა. ჯიქია**.

**გ. მერკვილაძე**

## საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის IX საქალაქო კონფერენცია

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის IX საქალაქო კონფერენცია გახსნა პარტიის ქალაქკომის მდივანმა ამხ. გრ. ნარსიამ.

საქმიან პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია ამხანაგები მ. ჯაში, გრ. ნარსია, ა. გიორგაძე, კ. ქადაგიშვილი, ნ. კიკაჩეიშვილი, ნ. ჯინჭარაძე, ტ. გრინჩენკო, ა. მელაძე და სხვ., სულ 21 კაცი. შემდეგ კონფერენციამ აირჩია სამანდატო კომისია და სამდივნო.

როცა კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში დაასახელეს ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი**, დარბაზში მქუხარე ტაშმა იგრიალა, დიდხანს არ წყდება ოვაცია საყვარელი, მშობლიური ბელადისადმი, ისმის მისასალმებელი შეძახილები—ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ერთსულოვანი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, ჩარკვიანი** და **ბაქრაძე**.

პარტიის საქალაქო კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ქალაქკომის მდივანი ამხ. გრ. ნარსია.

— ქალაქ ქუთაისის ბოლშევიკები, — განაცხადა ამხ. ნარსიამ, — თავიანთ კონფერენციაზე მოვიდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** გარშემო მტკიცედ დარაზმულნი. ხელმძღვანელობდნენ რა ამხანაგ სტალინის გენიალური მითითებებით, მტკიცედ ატარებდნენ რა ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ დირექტივებს, ორდენოსანი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს განვლილ საანგარიშო პერიოდში. ერთიორად და კიდევ მეტად გაიზარდა ქალაქის პარტორგანიზაცია საბჭოთა სამშობლოს პატრიოტ ადამიანთა მიღებით. XVIII ყრილობის შემდეგ, ე. ი. უკანასკნელი 11 თვის მანძილზე, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 1221 კაცი. პარტიაში ახალ წევრთა მიღების შედეგად გაიზარდა პარტორგანიზაციების რიცხვი. უკანასკნელი 7-8 თვის განმავლობაში შეიქნა 21 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია.

თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში, რომელსაც საფუძვლად დაედო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლას გულმოდგინედ დაეუფლნენ ქალაქის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. ამჟამად პარტისტორიას დამოუკიდებლად სწავლობს 2200-ზე მეტი კომუნისტი და ქალაქის მრავალათასიანი ინტელიგენცია. წულუკიძის სახელობის პარტგანათლების სახლის მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა და გარდაიქმნა. გასულ წელს მან 350 ლექცია და 108 ჯგუფური კონსულტაცია მოაწყო. ლექციები 35.900 კაცმა მოისმინა.

ამხ. ნარსიას მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მოსმენილ მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ა. გიორგაძე, ნ. ვაფრინდაშვილი, ს აბულაძე ტ. გრინჩენკო, ალ. მაჭარაძე, პ. რობაქიძე, გ. დგებუაძე, ლ. ჭელიძე, ი. ლონლაძე, ა. რიყინაშვილი, ჰ. კვერნაძე და სხვ.

კონფერენციაზე ვრცელი, შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ჯაში.

კონფერენციამ ქალაქკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი საქალაქო კომიტეტის შემდგომი მუშაობისათვის.

კონფერენციამ პარტიის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია 47 წევრი და 13 კანდიდატი, ხოლო სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში — 5 კაცი.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნა გადამწყვეტი ხმის უფლებით 20 კაცი, ხოლო სათათბიროთი — 6.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის პირველ დელეგატად კონფერენციამ უდიდესი აღფრთოვანებით აირჩია მშრომელი კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი**, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლი ხელმძღვანელი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლ. ბერია**, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნები ამხ. **კ. ჩარკვიანი** და ამხ. **მ. ჯაში**. აგრეთვე ამხანაგები: **გრ. ნარსია გ. კიკნაძე, გრ. შავდია, ლ. ჩიხლაძე, ა. მაშაშვილი, ა. გიორგაძე, კ. ქადაგიშვილი, ა. ქვათაძე** და სხვ.

O

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში აირჩია 7 წევრი და 2 კანდიდატი. ქალაქკომის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **გრ. ნარსია**, მეორე მდივნად — ამხ. **ა. გიორგაძე** და მესამე მდივნად — ამხ. **ნ. კიკაჩეიშვილი**. პლენუმმა საქალაქო გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქტორად დაამტკიცა ამხ. გ. ჯიბლაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **მ. ჯაში**.

**გ. ყურაშვილი**

## კასპი

„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან

28-29 თებერვალს მიმდინარეობდა კასპის რაიონის IX პარტიული კონფერენცია. კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში მხურვალე ტაშის გრიალით არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე არჩეულ იქნენ ამხ. ჩარკვიანი და ბაქრაძე.

კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. კეზერაშვილის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გოზალოვის მოხსენება. მოსმენილ მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 18 კაცი.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 48 კაცი, სარევიზიო კომისიაში 5 კაცი და საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა გადამწყვეტი ხმის უფლებით 5 დელეგატი, სათათბირო ხმით კი ერთი.

O

29 თებერვალს საღამოს შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის ბიუროში აირჩია 9 კაცი. საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ა. კეზერაშვილი, მეორე მდივნად—ა. მესროფაშვილი და მესამე მდივნად—გ. ზაყულაშვილი.

**ს. ყურაშვილი**

## ფოთის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ფოთის XX საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის მდივნის ამხ. **ნ. გაბუნიას** და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. ბეელესიაშის მოხსენებები.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გ. ვაჩაძემ, შ. გეთიამ, ვ. ბოლქვაძემ, ა. ქორქიამ, ს. ქოჩოსაძემ, გ. საბაშვილმა, პ. სალუქვაძემ, რ. გეგუჩაძემ, თ. თოდუამ, სმირნოვმა და სხვ.

ამხ. ნ. გაბუნიას საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტი 47 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით.

O

შემდეგ შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პლენუმი, რომელმაც აირჩია ქალაქკომის ბიურო და მდივნები.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **ნ. გაბუნია**, მეორე მდივნად **გ. ვაჩაძე**, მესამე მდივნად **გ. ახანიძე**.

**ა. თოფურია**

## ჭიათურა

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

2-3 მარტს მიმდინარეობდა ჭიათურის რაიონის XIII პარტიული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. მიქიაშვილმა.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამანდატო კომისიისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ კონფერენციამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი. შემოაქვთ წინადადება საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი, მამა და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი**. დარბაზში დიდხანს არ სცხრება ტაშის გრიალი, გაისმის შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად: „ვაუმარჯოს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**!", „ვაშა, საამური და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელს დიდ **სტალინს**!". საპატიო პრეზიდიუმში ტაშის გრიალით ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს: **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ჟდანოვს, მიქოიანს, ანდრეევს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, დიმიტროვს, ხოზე დიასს ჩარკვიანს** და **ბაქრაძეს**.

კონფერენციამ დიდი ყურადღებით მოისმინა ჭიათურის პარტრაიკომის მდივნის ამხ. დ. ქორქოლიანის საანგარიშო მოხსენება. თავის მოხსენებაში ამხ. ქორქოლიანმა აღნიშნა ის მიღწევები, რომლებიც ჭიათურის რაიონმა მოიპოვა საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, აგრეთვე მკაცრად გააკრიტიკა ცალკეული პარტორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

დაიწყო კამათი. პირველი სიტყვა აიღო ვოროშილოვის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. უ. კუპატაძემ. მან ილაპარაკა კომუნისტების ავანგარდული როლის ზრდაზე, შეეხო აგრეთვე მაღაროში პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებას.

კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს**.

დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩეულ იქნა რაიკომის შემადგენლობაში 47 წევრი და 5 კანდიდატი, რაიკომის სარევიზიო კომისიაში — 5 კაცი. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნა 12 ამხანაგი (10 გადამწყვეტი ხმის უფლებით და 2 სათათბირო ხმის უფლებით).

O

4 მარტს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა ბიუროს შემადგენლობაში აირჩია 7 წევრი და 2 კანდიდატი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **დ. ქორქოლიანი**, მეორე მდივნად — **ს. მიქიაშვილი**, მესამე მდივნად — **შ. მეცხვარიშვილი**.

**ლ. ლოლაძე**

## ზუგდიდი

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის VIII რაიონულმა კონფერენციამ საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი **სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები: **დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი, ჩარკვიანი** და **ბაქრაძე**.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **გრ. ჩაჩიბაია**, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ პარტიაში მიღებულია 431 კაცი წევრად, ხოლო 547 კაცი წევრობის კანდიდატად.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების შემდეგ პარტიული პროპაგანდა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მოხსენებათა გარშემო კამათში გამოვიდა 26 ამხანაგი, რომლებმაც მიღწევებთან ერთად ბოლშევიკურად აღნიშნეს ზოგიერთი პარტორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი საანგარიშო პერიოდში სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ აირჩია რაიკომი, სარევიზიო კომისია და აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს** და თბილისის XVIII საქალაქო პარტიულ კონფერენციას.

O

9 მარტს შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **გრ. ჩაჩიბაია**, მეორე მდივნად — ამხ. **დ. ცანავა**, მესამე მდივნად — ამხ. **ი. კვარაცხელია**.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი ამხ. **შ. კვარაცხელია**.

**დ. კალანდია**

## სიღნაღი

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში საკოლმეურნეო თეატრის შენობაში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიონის X კონფერენცია.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით და ოვაციებით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. ყურაშვილი. კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დ. ლაგაზიძის მოხსენება. ორივე საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 ამხანაგმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ დასახა აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებები შემდგომი მუშაობისათვის.

კონფერენციამ აირჩია რაიკომი 43 წევრისა და 17 კანდიდატის შემადგენლობით; საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით აირჩია ამხანაგები: ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. მაზიაშვილი, ფ. რეხვიაშვილი, მ. ლაზარიაშვილი და მ. ალავერდაშვილი. სათათბირო ხმის უფლებით — ამხ გ. ქადაგიშვილი და ნ. ღვინიაშვილი.

O

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ზ. ჩხუბიანიშვილი**, მეორე მდივნად — ამხ. **ი. ქურციკიძე**, მესამე მდივნად ამხ. — **ი. ჩინჩალაძე**.

**კ. ბეჟაშვილი**

## ცხაკაია

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიონის X კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივნის ამხ. ი. შამუგიას საანგარიშო მოხსენება.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 23 კაცმა. ისინი აღნიშნავდნენ მიღწევებს და ბოლშევიკური პირდაპირობით ამხელდნენ ნაკლოვანებებს.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

არჩეულ იქნა რაიკომი 47 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებად კონფერენციამ აირჩია 10 კაცი.

კონფერენციამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, საბჭოთა სახელოვანი დაზვერვის მეთაურს ამხ. ლ. პ. ბერიას და საქ. კ. პ (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს**.

O

შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი, პლენუმმა რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში აირჩია 7 წევრი და 2 კანდიდატი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ი. შამუგია, მეორე მდივნად — ამხ. შ. ჩიქობავა, მესამე მდივნად — ამხ. შ. ბოკუჩავა.

**შ. კალანდარიშვილი**

# საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობისათვის

## XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის წლისთავს და საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობას ზესტაფონის რაიონის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდება. ჩვენი რაიონის ბოლშევიკებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და დიდი სტალინის ისტორიულ მითითებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

XVIII პარტიულმა ყრილობამ მიიღო საკ. კ. პ. (ბ) წესდება. ახალმა წესდებამ ხელი შეუწყო პარტიის რიგებში რაიონის შესანიშნავ ადამიანთა მიღებას. ზესტაფონის რაიონის პარტორგანიზაცია შეივსო ასობით ახალგაზრდა კომუნისტებით, რომელნიც აღიზარდნენ [illegible]

შესრულებისათვის. ამას სათანადო დადებითი შედეგები მოჰყვა.

რაიონის მრავალმა საწარმომ წარმატებით შეასრულა გასული წლის გეგმა. ფეროშენადნობთა ქარხანამ გეგმა 104,6 პროცენტით შეასრულა, ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანამ — 111,7 პროც., შამპანკომბინატის ქარხანამ—103,4, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა — 104,8 პროცენტით და ა. შ.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში, რამაც უზრუნველყო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში 31 კოლმეურნეობის და სოფლის მეურნეობის 68 მოწინავე ადა- [illegible]

## სპეციალური თესვა საქართველოში

[illegible] ლოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ცნობების მიხედვით 10 მარტისათვის რესპუბლიკაში დათესილი იყო 1241 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. მარტის მეორე ხუთდღიურის განმავლობაში დაითესა 1076 ჰექტარი. დათესილია 1075 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, დაითესა 71 ჰექტარი კარტოფილი.

[illegible] მელსაც 10 მარტისათვის დათესილი აქვს 889 ჰექტარი, მათ შორის თავთავიანი კულტურა 840 ჰექტარი. საგარეჯოს რაიონში დათესილია 145 ჰექტარი, ხოლო ალბულღისაში — 81. სხვა რაიონებში დათესილია 25-დან 37 ჰექტარამდე. (საქდესი).

## მშრომელთა კომუნისტური აღზრდა

ბ. კიკნაძე
საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი

შეეხო რა სოციალისტური სახელმწიფოს ამოცანებს განვითარების მიმდინარე ფაზაში, ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა სტალინმა ერთი წლის წინ, პარტიის XVIII ყრილობაზე განაცხადა: „ახლა ჩვენი ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს მშვიდობიან სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობაში“.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ჩვენი სახელმწიფოს ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა ერთ-ერთ მიზნად ისახავს სოციალიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდას.

ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობაზე საბჭოთა მთავრობის სახელით მეთაურმა ამხანაგმა მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა [illegible] წესებულებათა ქსელი და სხვ.

სოციალისტური ხელოვნებისა და მეცნიერების უმაგალითო გაფურჩქვნა-აყვავება, ახალი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, თეატრებისა და კლუბების გაშლილი მშენებლობა პარტიის XVIII ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის კულტურული აღმავლობის დარგში დასმულ ამოცანათა ბოლშევიკურად განხორციელების საწინდარია.

ამ ამოცანათა განხორციელებაში ორდენოსანი საქართველოს სახალხო განათლების ქსელს, მის მუშაკებს მოწინავე ადგილი უჭირავთ. პირველი ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ჩვენში ძირითადად განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება, მარტო განსახკომის სისტემის 5 ათასამდე სკოლაში 30 ათასზე მეტი მასწავლებელი ასწავლის. თუ ამას მივუმატებთ სპეციალურსა და სამეურნეო სახალხო კომისარიატების სკოლებს, მივიღებთ სოციალისტური კულტურის ფრონტის მუშაკთა ძლიერ არმიას, რომელიც წარმატებით ანხორციელებს პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის დასმულ საბრძოლო ამოცანებს.

ჩვენმა მასწავლებლობამ დიდი საქმე გააკეთა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის გამარჯვებისათვის. ყოველდღიურად ანხორციელებდა რა დიდი ლენინისა და სტალინის მითითებებს, საქართველოს მასწავლებლობა მარტო სკოლაში მუშაობით როდი შემოუფარგლავს თავისი საქმიანობა. იგი დაუღალავად ეწეოდა და ეწევა აგიტაციასა და პროპაგანდას, განუმარტავს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასმულ ამოცანებს, ყოველმხრივ ხელს უწყობს ადამიანთა გარდაქმნას სოციალიზმის სულისკვეთებით, იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს მუშათა კლასის კულტურულ - ტექნიკური დონის საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკთა დონემდე ამაღლების ამოცანა, რომლის განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ წარმატებით მოვსპოთ გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირება.

ამ საქმეში მასწავლებლობას მხარში უდგას და აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო სოფლის საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების მრავალრიცხოვანი არმია, სოფლის მოწინავე ინტელიგენცია. სოფლად „გაქრა ძველი წარჩინებული ფიგურები კულაკ-ექსპლოატატორისა, მევახშე-წურბელისა, ვაჭარ-სპეკულანტისა, ხუცეს-ურიადნიკისა. ახლა წარჩინებული ადამიანები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სკოლებისა და კლუბების მოღვაწეები, უფროსი ტრაქტორისტები, კომბაინერები, ბრიგადირები მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგში, საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო დამკვრელი მამაკაცები და ქალები“ (ი. სტალინი).

სოფლის ინტელიგენციის მაღალი აქტივობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ საზეიმო დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღმავლობით ემზადებოდნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ლენინ-სტალინის პარტიის გმირული საქმეებით შთაგონებული ჩვენი ინტელიგენტები აღფრთოვანებით მუშაობდნენ აგიტატორებად, მშრომელთა ფართო მასებში შეჰქონდათ ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვა. [illegible] ჭადაიში (ზუგდიდის რაიონი) და სხვ. ქოხსამკითხველოებმა. მათ მუშაობა არც შემდგომში შეუნელებიათ და ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ რათა კიდევ უფრო გაამრავლონ, გაალრმავონ მოპოვებული წარმატებანი.

ორდენოსანი საქართველოს სახალხო განათლების მუშაკთა არმია მუდამ პირნათლად შეასრულებს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანებს, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებს ლენინ-სტალინის დიდი პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

## კაპიტალური მშენებლობა ახალი ამოცანების წინაშე

ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოში აშენებულია მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხანა, საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საბავშვო ბაგა, კლუბი, საავადმყოფო. ქალაქ თბილისში მთელი რიგი შესანიშნავი შენობები აიგო. მშენებელმა ორგანიზაციებმა სამშენებლო ტექნიკის დიდი გამოცდილება შეიძინეს და მშენებელთა საუცხოო კადრები გამოზარდეს.

მაგრამ ზოგჯერ მშენებლობა სწარმოებს დაუშვებლად ნელი ტემპით, მოძველებული და მშენებლობის გამაძვირებელი მეთოდებით. სწრაფი მეთოდით მშენებლობა, რაზედაც ხაზგასმით მიუთითა პარტიის XVIII ყრილობამ, ჯერ კიდევ არ გამხდა [illegible] მუშებში სუსტად არის გაშლილი პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება. ტრესტ საქქარმშენის 1262 მშენებელი მუშიდან სტახანოველი და დამკვრელია მხოლოდ 347 მუშა, ანუ 27,5 პროცენტი.

ამით აიხსნება, რომ მშენებელი ორგანიზაციები სისტემატურად ვერ ასრულებენ კაპიტალური მშენებლობის გეგმას და აგვიანებენ ცალკეული ობიექტების დროზე დამთავრებას. მაგალითად, საქქარმშენმა 1939 წლის გეგმა შეასრულა მხოლოდ 92 პროცენტით.

მშენებლობის გაჭიანურებასა და გაძვირებაში ბრალი მიუძღვის თვით დამკვეთ ორგანიზაციებსაც, რომლებიც კმაყოფილდებიან სამშენებლო ტრესტებთან საიჯარო ხელშეკრულების დადებით და შემდეგ აღარ აინტერესებთ მშენებლობის ბედი. გასულ წელს ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა, მათ რიცხვში ექსპლოატაციაში გასაშვები ცალკეული სამრეწველო ობიექტებისაც დაიწყო დიდი დაგვიანებით. ქვანახშირის სამტრევი ფაბრიკის მშენებლობა, რომლის ღირებულება 800 ათას მანეთს აღემატება და რომლის დამთავრებასთან დაკავშირებული იყო ტყიბულში სტალინის სახელობის ახალი შახტის ექსპლოატაციაში გაშვება, დაიწყო აგვისტოში. მშენებლობის დაუმთავრებლობის გამო შახტის ექსპლოატაციაში გაშვება არ მოხერხდა და იგი გადაიდო მიმდინარე წლის ივნისისათვის.

მშენებლობის დაგვიანებით დაწყება გამოწვეული იყო იმით, რომ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა თავის დროზე არ იზრუნა საქქარმშენისათვის წლის დასაწყისშივე გადაეცა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელთა გარეშე მშენებლობის დაწყება არ შეიძლებოდა. ტალკის ფაბრიკის (სამხრეთ-ოსეთი) მშენებლობა თანხით, პროექტით და ნახაზებით უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ 45 პროცენტით მესამე კვარტალის ბოლომდე მას არ მიუღია წყალსადენის, სახანძრო დეპოს, დამფქვავი ბუნკერების მშენებლობის პროექტები. გასაკვირი არ არის, რომ ფაბრიკის ექსპლოატაციაში გაშვება დაგვიანდა. ასეთი შემთხვევა იშვიათი როდია.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზრუნვას ახალი მშენებლობის წლის დასაწყისშივე გაჩაღებისათვის, რაც ბევრად დამოკიდებულია თვით დამკვეთი ორგანიზაციების ვალდებულებათა შესრულებაზე მშენებელი ორგანიზაციების წინაშე. პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დროზე გადაცემას მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა, უპირველეს ყოვლისა, საქსახპროექტმა ამ საქმეში მეტი უნარი უნდა გამოიჩინონ და დამკვეთ ორგანიზაციებს ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში ჩააბარონ მაღალხარისხოვანი პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, უნდა მიაღწიონ მაღალი ხარისხის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების გამოშვებას, გადაჭრით უნდა აღმოფხვრან დეფექტური პროექტების შედგენა. საქსახპროექტმა საქართველოს მარმარილოს უდიდესი საწყობის შენობის შუაგულში, ხის იატაკზე, [illegible] ის ხსნარით. შენობის შიგნით გადატიხვრაზე უამრავი ხე-ტყის მასალა იხარჯებოდა მოწინავე მშენებელთა პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ შიგნით ტიხრზე ცემენტი ადვილად შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი გაჯის სპეციალურად დამზადებული „პლიტკებით“, რითაც დიდად დაიზოგება ხე-ტყის მასალა. დაჩქარდება და გაიაფდება მშენებლობა.

სამშენებლო მასალების მომჭირნეობით გამოყენებას, დეფიციტური მასალების გაბედულად შეცვლას ადგილობრივი მასალებით. ბრძოლას დანაკარგებთან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. მშენებელთა საპატიო ამოცანაა — პირნათლად შეასრულონ საქართველოს სსრ მთავრობის მითითება მიმდინარე წელს სამშენებლო მასალის, კერძოდ ლითონის არანაკლებ 10-12 პროცენტით დაზოგვის შესახებ.

ადგილობრივ სამშენებლო მასალათა მრეწველობა ვალდებულია მკვეთრად გააუმჯობესოს თავისი პროდუქციის, უპირველეს ყოვლისა აგურის, კრამიტისა და კირის ხარისხი, რომელიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. საქართველოს კირის ზოგიერთი ქარხანა კვლავ დიდი რაოდენობით უშვებს წუნდებულ პროდუქციას, რაც ზოგჯერ 50 პროცენტს აღწევს.

ადგილობრივი სამშენებლო მასალების ხვედრითი წონა მშენებლობის მთელი ღირებულების 30 პროცენტს აღემატება. მოთხოვნილება ადგილობრივ სამშენებლო მასალაზე ყოველდღიურად იზრდება. ამიტომ, ჩვენი მრეწველობის ამ დარგმა საკმაო რაოდენობით უნდა მოგვცეს მაღალი ხარისხის პროდუქცია.

მიმდინარე წლის მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული მომმარაგებელი ორგანიზაციების მუშაობაზე. ასეთებია „გლავლესოსნაბსბიტი“, „გლავცვეტმეტი“ და „გლავმეტალოსბიტი“. ამ ორგანიზაციების ცუდ მუშაობას უნდა მიეწეროს, რომ გასულ წელს საქქარმშენმა დამკვეთი ორგანიზაციებიდან ვერ მიიღო 4.000 კუბური მეტრი ხე-ტყე, 1.200 მეტრი საკაბელო პროდუქცია, 120 ტონა სხვადასხვა სახის ლითონი. 200 ტონა ცემენტი და სხვ., რაც ფონდებით იყო გათვალისწინებული. მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა ეს გაკვეთილი უნდა გაითვალისწინონ და აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

კ. ბუჯიაშვილი
საქქარმშენის მმართველი



ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს სახელოსნოების სტახანოველები საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობას ხვდებიან საწარმოო ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებით. სურათზე (მარცხნიდან): სტახანოველი ზეინკლები ტ. ხტეფანოვი, ბ. ათაბეგოვი, გ. ივანოვი, გ. გაგუაშვილი. ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

დ. ქორქოლიანი
საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი

## ჭიათურის ბოლშევიკები მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში

ჩვენი პარტიის XVIII ისტორიულმა ყრილობამ საბჭოთა უძლეველი ხალხის წინაშე დააყენა ძირითადი ეკონომიური ამოცანა — უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურადაც გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს გრანდიოზული ამოცანა ბრძნული სიცხადით არის გამოხატული დიდი სტალინის გენიალურ მოხსენებაში:

„შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მრეწველობის აღმავლობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ მას შემდეგ, რაც უკვე გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის ზრდის ტემპების დარგში, — გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში“.

ერთი წელი გავიდა ამ შესანიშნავი სიტყვების წარმოთქმიდან. საბჭოთა გმირი ხალხი მტკიცედ, თანმიმდევრულად იბრძვის მთავარი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის. და ეს გასაგებია. ჩვენი მძლავრი სამშობლოს ყოველმა მოქალაქემ კარგად იცის, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებულია სოციალიზმიდან თანდათანობით კომუნიზმში გადასვლა.

ეს უდიდესი მამობილიზებელი ძალის სტალინური ლოზუნგი მეტად დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს და აყენებს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა წინაშე. რამდენიმე წლის წინათ ქართველი ხალხის საამაყო შვილი, საბჭოთა სახელოვანი დაზ [illegible] სტალინური ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. პ. ბერია ამბობდა: „საკავშირო მეტალურგიას სულ უფრო მეტად და მეტად ესაჭიროება მარგანეცი“. ეს სიტყვები არ ჰკარგავენ თავის დიდ მნიშვნელობას. პირიქით, ისინი უფრო მეტი სიმკვეთრით სწორედ ახლა გაისმიან.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ 1939 წელს მარგანეცის გამოღების გეგმა 89,3 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა 88,1 პროცენტით. მართალია, 1938 წელთან შედარებით მარგანეცის გამოღება 5,6 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დამზადება 3,7 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გასულ წელს მარგანეცის მრეწველობამ კარგად იმუშავა. ჩვენ გასულ წელს სამშობლოს რამდენიმე ასეული ტონა მარგანეცი დავაკლეთ.

უკეთესი მდგომარეობა გვქონდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში. მაღაროებში 1938 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 5,5 პროცენტით გაიზარდა, გამამდიდრებელ ქარხნებში კი 7 პროცენტით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მაღაროებში ახალი ტექნიკის დანერგვას და მექანიზმების ათვისებას. არც ისე დიდი ხნის წინათ მაღაროებში მექანიზმების გამოყენებას ალმაცერად უყურებდნენ. გასული წლის ოქტომბრამდე მაღაროებში სანგრევ უროებს მხოლოდ ცდის სახით იყენებდნენ. ამჟამად კი მაღაროებში 18 სანგრევი ურო მუშაობს.

ასევე ითქმის სკრეპერებზეც. წინათ მათ გამოყენებას გაურბოდნენ. 1938 წელს ლენინის სახელობის მაღაროში მხოლოდ ერთი სკრეპერი იყო და ისიც გამოუყენებლად [illegible] კი 6 სკრეპერია მოქმედებაში.

წინათ მაღაროებში ყველაზე „ვიწრო“ ადგილი ტრანსპორტი იყო. იგი ძლიერ ამუხრუჭებდა მარგანეცის გამოღების გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება მიექცა და ახლა თითქმის ყველა მაღაროდან მარგანეცის გამოზიდვა ელექტრომავლების საშუალებით ხდება. ამ დღეებში ექსპლოატაციაში შევა აგრეთვე ახალი დიდი გამამდიდრებელი ქარხანა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი და მოგვცემს მაღალხარისხოვან მარგანეცს.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ახალი მექანიზმების დანერგვა-გამოყენების დარგში ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. ამ მიმართულებით კიდევ მეტის გაკეთება მომავალში მოგვიხდება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მექანიზმების სრული, მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას, რადგან უამისოდ ლაპარაკიც არ შეიძლება მარგანეცის აღოლების და შრომის ნაყოფიერების რაიმე გადიდებაზე.

განსაკუთრებით კარგად მუშაობდნენ და მუშაობენ ლენინის, ვოროშილოვისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროები. ამ მაღაროების მაგალითზე ერთხელ კიდევ დასტურდება ის აქსიომური დებულება, რომ იქ, სადაც ნამდვილად ხორციელდება წარმოებაზე პარტიული კონტროლის უფლება, სადაც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კარგად არის შეთავსებული სამეურნეო საქმიანობასთან, წარმატებასაც აღწევენ, და პირიქით, სადაც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოწყვეტილია სამეურნეო საქმიანობას, სადაც ფიქრობენ, რომ პოლიტიკა და მეურნეობა სხვადასხვაა, იქ წარმატებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროს (დირექტორი — შ. აბრამიშვილი, პარტბიუროს მდივანი — უ. კუპატაძე) მესამე უბანი გასული წლის ოქტომბერში სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა. ეს მდგომარეობა პარტორგანიზაციას შეუმჩნეველი არ დარჩა. პარტბიურომ წინასწარ შეისწავლა უბნის ჩამორჩენის კონკრეტული მიზეზები და ეს საკითხი პარტიული მსჯელობის საგანი გახდა. კრებამ მიიღო საქმიანი დადგენილება. ამის შედეგად უბანში მოეწყო უსასრულო ბაგირი, ძველი კომპრესორი ელექტრობურღის მანქანით შეიცვალა, გადაჭრით გაუმჯობესდა ბურღვა-აფეთქების ხარისხი, და უბანმაც წლიური გეგმა 108.3 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების პარტიული ორგანიზაციების დადგენილებები ქაღალდს არ შორდება. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის კრებამ 31 იანვარს შეამოწმა თავისი დადგენილება მეოთხე უბანში ტუმბოს მოწყობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ დადგენილება შესრულებული არ იყო. განმეორებით დაიწერა დადგენილება, მაგრამ იგი კვლავ დადგენილებად დარჩა. 20 თებერვლისათვის ტუმბო მაინც არ იყო მოწყობილი. ასეთ პირობებში დადგენილება ჰკარგავს თავის ფასს. დადგენილება მაშინ არის კარგი, როდესაც მისი ყოველი მუხლი მტკიცედ სრულდება.

მართალია, უკანასკნელ ხანებში მარგანეცის მრეწველობას აღმავლობის ნიშნები დაეტყო (თებერვალში სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა 95.6 პროცენტით შესრულდა). მაგრამ ამით დაკმაყოფილება ერთი წუთითაც არ შეიძლება. ახლახან ჩატარდა რაიონის ხელმძღვანელი პარტორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. მკაცრად აკრიტიკებდნენ რა განვლილ მუშაობას, საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე კომუნისტებს შემოჰქონდათ მეტად ძვირფასი და საქმიანი წინადადებები მარგანეცის მრეწველობის გამარჯვების გზაზე გამოსაყვანად. ეს წინადადებები აუცილებლად დიდ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს მომავალ მუშაობაში.

წარმოებაზე პარტიული კონტროლის გაძლიერებით, შრომის სანიმუშო ორგანიზაციით, მექანიზმების სრული დატვირთვით და გამოყენებით, ციკლური მეთოდის დანერგვით, სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმების ფართოდ გაშლით და ტექნიკური ხელმძღვანელობის ნამდვილად გაუმჯობესებით ჭიათურის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები უკვე მიღწეულ ნაწილობრივ აღმავლობას ნამდვილ გამარჯვებად გადააქცევენ.

პარტიული მუშაობის გაუმჯობესების, სანგრევებსა და ლავებში ხელმძღვანელობის მიახლოების მიზნით განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში მაღაროს ყოველ უბანში მოვაწყოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ეს უდავოდ გააძლიერებს პარტიულ ხელმძღვანელობას წარმოებაზე, გაადიდებს მარგანეცის გამოღებას.

ვფიქრობთ აგრეთვე ახლო ხანში შევცვალოთ მაღაროებში მადნის მონგრევის მეთოდი. ამჟამად მარგანეცის მონგრევა აფეთქებით ხდება. ეს, გარდა იმისა, რომ აუარესებს მადნის ხარისხს, ექსპლოატაციის მიუღებელი წესიცაა. ამიტომ აუცილებელია აფეთქების ნაცვლად ფართოდ დავნერგოთ მარგანეცის მონგრევა უროებით, საყელავი მანქანებით.

პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მექანიზმებისა და ციკლური მეთოდით მუშაობის ნამდვილად დანერგვას. ამისათვის მოვაწყობთ მარგანეცის მრეწველობაში მექანიზმებზე მომუშავე მოწინავე ადამიანთა თათბირებს, სადაც მოხდება გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

ჩვენი საწარმოო პროგრამა აუცილებლად რეალურია და მთლიანად უნდა შესრულდეს.

ეჭვი არ არის, ჭიათურის ბოლშევიკები, რომლებიც რევოლუციის გარიჟრაჟზე იბრძოდნენ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, რომლებიც აღზრდილნი არიან საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, სახელოვნად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ქვეყანას მისცემენ უფრო მეტსა და მეტ მარგანეცს, რითაც კიდევ უფრო გაზრდიან ჩვენი დიდი სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას.

## 37 მილიონერი კოლმეურნეობა

საქართველოს კოლმეურნეობები სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელი განხორციელების საფუძველზე სულ ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევენ კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

წლითი-წლობით მატულობს კოლმეურნეობათა შემოსავალი და მასთან ერთად კოლმეურნეთა შეძლებულობაც. ამჟამად საქართველოში 37 მარტო მილიონერი კოლმეურნეობაა. 1939 წლის განმავლობაში მილიონობით შემოსავალი მიიღო 6 ახალმა კოლმეურნეობამ. ზუგდიდის რაიონში მილიონერთა რიგებში ჩადგა 4 კოლმეურნეობა, ოჩამჩირის რაიონში — 2, ქობულეთის რაიონში — 2 და სხვ.

ახალ მილიონერთა შორის არიან თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა. საგარეჯოს რაიონის სოფ. [illegible] ტელმანის სახელობისა, სოფ. რუხის ბერიას სახელობისა, სოფ. შამგონის კიროვის სახელობისა. ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელი“. მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთის მახარაძის სახელობისა, ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის ბერიას სახელობისა და სხვ.

მილიონერ კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი შარშან 60.717 ათას მანეთით გამოიხატა, 1938 წელს კი 33.649 ათასი მანეთი იყო.

მატულობს ძველ მილიონერ კოლმეურნეობათა შემოსავალი. თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან 5.589.374 მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. 1938 წელს კი მიღებული აქვს 4.883.263 მანეთი. ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალმა შარშან 642.854 მანეთით გადააჭარბა 1938 წლის შემოსავალს და 4.034.697 მანეთს მიაღწია. ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის კოლმეურნეობის შემოსავალი 1 161 917 მანეთით გადიდდა და 2.754.939 მანეთით გამოიხატა.

კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდასთან ერთად უფრო მეტად ხდება შრომადღის ანაზღაურება, უფრო ბედნიერი, უფრო შეძლებული ხდება კოლმეურნეთა ცხოვრება. სოფ. ორსანტიის (ზუგდიდის რაიონი) კოლმეურნეობამ შარშან შრომადღეზე გასცა 3.2 კილოგრამი მარცვალი, ხოლო ფულად — 15 მანეთი, 1938 წელს კი 12 მანეთი; მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 3,7 კილოგრამი მარცვალი და ფულად 15 მანეთი და 50 კაპიკი; ზუგდიდის რაიონის სოფ. შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ - 2.4 კილოგრამი მარცვალი და ფულად 13 მანეთი და 40 კაპ. (საქდესი).

## ნორვეგიის პრემიერის გამოსვლა

**ბერლინი**, 11 მარტი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნორვეგიის პრემიერმა ნიუგორდსვოლდმა ნორვეგიელი ჟურნალისტების კრებაზე განაცხადა: ნორვეგიისათვის საარსებო პირობას წარმოადგენს სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანად ცხოვრებაო. ნორვეგიის ნეიტრალიტეტი, — განაცხადა პრემიერმა, — სრული და ურყევი უნდა იყოს. ნორვეგია ისეთ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, რომელიც არავის მისცემს საბაბს ჩააბან იგი ომში. ნორვეგიელი ხალხისათვის ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა, თუ მის ქვეყანას ომში ჩააბამდნენ. დასასრულ, პრემიერმა განაცხადა, რომ დასავლეთში წარმოებულმა ომმა ნორვეგიას უკვე საგრძნობი ზარალი მიაყენა.

## კინკლაობა იაპონელთა აგენტების ბანაკში

**ჩუნცინი**, 11 მარტი (საკდესი). ჩინეთის პრესა იუწყება იმ ახალი მარცხის შესახებ, რაც ჩინეთში იაპონელთა მიერ დაყენებულ აგენტებს მოუვიდათ. ეგრეთწოდებული „ორტოდოქსალური გომინდანის" (ე. ი. ვან ძინ-ვეის მომხრეების) „ალმასკომის" პლენუმი, რომელიც 6 მარტისათვის იყო დანიშნული, გადადებულია აპრილამდე. ვან ძინი (შეიპინის მარიონეტული „მთავრობის" მეთაური) არც კი ჩასულა ნანკინში. მის მაგიერ ჩამოვიდა ხუ ლიუ-გუანი. მარიონეტთა შორის გაჩაღებული კინკლაობა ხელს უშლის იმას, რომ ჩინეთში შეიქმნას „ცენტრალური მთავრობა" ვან ძინ-ვეის მეთაურობით. გენერალ უ პეი-ფუს უცნობი უცნაური სიკვდილის შემდეგ იაპონელი გენერლები ჩრდილოეთში ციტას მეთაურობით ცდილობენ წამოაყენონ უ პეი-ფუს მემკვიდრედ ჩრდილოელი მილიტარისტი ცი სე-იუანი. მასვე ასახელებენ ისინი „შეიპინის მთავრობის" მეთაურად ვან კე-მინის ნაცვლად, რომელსაც ისინი საკვებით ვერ ენდობიან. სხვა იაპონელი გენერლები — ციტას მოწინააღმდეგენი — არ ეთანხმებიან აღნიშნული გენერლის დანიშვნას. იაპონიის სპეციალური სამსახურის ერთერთი ხელმძღვანელი ჩინეთში საკინსი წინააღმდეგია აგრეთვე ვან ძინ-ვეისა და „ცენტრალური მთავრობის" პრემიერის პოსტზე ასახელებს ჩრდილოელ გენერალს ძინ-იუნ-პენს. იაპონელი გენერლები ჩრდილოეთში ცდილობენ შექმნან „ცენტრალური მთავრობა" ჩრდილოელი ჯგუფის ერთერთი გენერლის მეთაურობით. თავიდან არ არის აცილებული აგრეთვე უთანხმოება ვან კე-მინსა და ვან ძინ-ვეის შორის.

## იაპონიის საბუთების გამოფენა ჩუნცინში

**ჩუნცინი**, 12 მარტი (საკდესი). ჩუნცინში მოეწყო გამოფენა, სადაც ნაჩვენები იყო ჩინელების მიერ სხვადასხვა ფრონტზე მოპოებული იაპონური დოკუმენტები.

დიდ ინტერესს იწვევენ იაპონელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დღიურები და აგრეთვე იაპონიის არმიის ბრძანებანი. ერთერთ ბრძანებაში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს ჩინეთის მეოთხე არმიის ჯარისკაცები, სამოქალაქოდ გადაცმულნი, აწარმოებენ პარტიზანულ ომს. ისინი ხშირად ჩნდებიან ჩვენი სადარაჯო დაცვის რაიონებში და ანგრევენ რკინიგზას". ბრძანება წინადადებას იძლევა, რათა წარმოებულ იქნას გადამწყვეტი ბრძოლა პარტიზანებთან.

გამოფენაზე ნაჩვენები იყო აგრეთვე ჩინეთის არმიის საპროპაგანდო მასალები. გამოფენილი იყო გაზეთები, რომლებსაც სცემენ პარტიზანები ხებეის, შანსის, შანდუნის პროვინციებში, ფურცლები ჩინურსა და იაპონურ ენაზე, იაპონელ ტყვეების მიმართვა იაპონელ ჯარისკაცებისადმი მოწოდებით, შესწყვიტონ ომი ჩინელი ხალხის წინააღმდეგ და სხვ.

## 12 მილიონი უმუშევარი ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 12 მარტი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, საწარმოო პროფკავშირების კონგრესის ცნობების თანახმად, იანვარში ამერიკის შეერთებულ შტატებში 12 მილიონი უმუშევარი ირიცხებოდა. 1939 წლის დეკემბერთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 14 პროცენტით გაიზარდა.

## გერმანიის სატვირთო გემ „ჰანოვერის" ჩაძირვის გარშემო

**ნიუ-იორკი**, 12 მარტი (საკდესი). ამერიკის პრესის გადმოცემით, 9 მარტს პორტორიკოსა და სანდომინგოს შორის ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო გემები თავს დაესხნენ გერმანიის სატვირთო გემ „ჰანოვერს". დევნის შემდეგ გემი ჩასძირა მისმა საკუთარმა ეკიპაჟმა ამერიკის ქვეყნების ნეიტრალური ზონის ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დომინიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართა პანამის მთავრობას გამოარკვიოს ამერიკის სხვა ქვეყნების აზრი, თუ რამდენად შესაძლებელია საერთო პროტესტის განცხადება „ამერიკის ნეიტრალური ზონის ამ ახალი დარღვევის" წინააღმდეგ.

## ინგლისმა გაათავისუფლა ქვანახშირით დატვირთული იტალიის გემები

**რომი**, 11 მარტი (საკდესი). ყველა გაზეთი იუწყება, რომ ინგლისელებმა გაათავისუფლეს წინათ დაკავებული იტალიის გემები, რომლებიც გერმანიის ქვანახშირით არის დატვირთული. გაზეთები სწერენ, რომ ინგლისელები, რომლებიც ამ საკითხში ჯერ კიდევ გუშინ შეურიგებლობას იჩენდნენ და აშკარად ცდილობდნენ ქვანახშირის შესახებ ამტყდარი დავა გამოეყენებინათ ინგლისის ინტერესებისათვის ინგლის-იტალიის ეკონომიური ურთიერთობის უფრო ფართოდ განხილვისა და მოწესრიგების საბაბად, ახლა დათმობაზე წავიდნენ. ამასთან ერთად იტალიის გუშინდელი ოფიციალური ცნობა, იუწყებოდა რა იტალიის გემების განთავისუფლების ამბავს, აღნიშნავდა: მომავლისათვის ინგლისს განზრახვა არა აქვს გერმანიის ქვანახშირი იტალიაში გაატაროსო.

## ადმირალ ბერდის „სათოვლო კრეისერი"

ადმირალ ბერდის ანტარქტიკული ექსპედიცია კვლავ იპყრობს უცხოეთის პრესის ყურადღებას. უცხოეთის პრესა მას მთელ რიგ სტატიებს უძღვნის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „სათოვლო კრეისერი". ამ კრეისერის შესახებ დაიბეჭდა მთელი რიგი ახალი ცნობები, რომლებიც გადმოგვცემენ მისი მოწყობის დეტალებს.

„სათოვლო კრეისერი", რომელიც სპეციალურად არის აშენებული ბერდის ექსპედიციისათვის, წარმოადგენს ავტომობილს, რომელიც საათში ანვითარებს 50 კილომეტრამდე სისწრაფეს. ავტომობილმა, რომელიც სძლევს 37 გრადუსამდე კუთხის მქონე აღმართებს, უნდა გაიაროს ანტარქტიკის მაღალმთიანი პლატო. იგი უნდა ავიდეს 3.800 მეტრამდე სიმაღლის გლეტჩერებზე. ავტომობილის სახურავზე მიმაგრებულია თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია გამოიკვლიოს ანტარქტიკის სივრცეები 1.000 კილომეტრ მანძილზე მარშრუტის მხარეებისაკენ. „სათოვლო კრეისერი", ისე როგორც თვითმფრინავი, წარმოადგენენ მოძრავ ლაბორატორიებს, რომლებიც მოწყობილია საჭირო სამეცნიერო აპარატურით.

ავტომობილის ქვედა ნაწილში მოთავსებულ რვა ბაკში ინახება 9.500 ლიტრი გაზოლი, რომელიც განკუთვნილია 8.000 კილომეტრი გზისათვის, ხოლო „კრეისერის" სახურავზე დამაგრებულ ბაკებში ინახება 3.800 ლიტრი ბენზინი თვითმფრინავისათვის. ავტომობილის სახურავის უკან მიმაგრებული თხილამურებისა და პლატფორმების დახმარებით თვითმფრინავი შეიძლება მომზადებულ იქნას გასაფრენად 10 წუთის განმავლობაში.

„სათოვლო კრეისერის" აგებისათვის გამოყენებული იყო ისეთი ფოლადი, რომელიც პოლარული აუზის ყველაზე უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებშიც კი უძლებს ყოველგვარ დაჯახებას, რომ კრეისერის წონა ნაკლები ყოფილიყო, მანქანის ფოლადოვანი კორპუსი იმდენად თხელი ფოლადისაგან იყო გაკეთებული, რომ ავტოგენური შედუღება უნდა შეცვლილიყო მოქლონვით. კრეისერის შემსუბუქებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო კრეისერის მოქმედების რადიუსი.

მხედველობაში მიიღეს, რომ „სათოვლო კრეისერს" მოუხდებოდა რეისების ჩატარება ყინულებსა და თოვლში, სადაც არავითარი სარემონტო სახელოსნოები არ არის, მანქანის კონსტრუქტორებმა გამოსცადეს იგი ინდიანას შტატის ქვიშიან დიუნებს შორის, რომელთა წვრილი და მაგარი ქვიშა თავისი თვისებებით შეიძლება შეედაროს იმიერპოლარეთის ყინულოვან კრისტალებს. გამოცდამ, კერძოდ, დაგვანახვა, რომ ყინულოვან ნაპრალს, თუ იგი სიგანით არ აღემატება 4,6 მეტრს, არ შეუძლიაააცდინოს კრეისერი პირდაპირ გზას. სპეციალური გამოცდისას მანქანამ გადალახა 4.5 მეტრი სიგანის თხრილი. ეს მიღწეულია ბორბლების განსაკუთრებული მოწყობით: თვითეულ ბორბალს აქვს ჰიდრავლიკური დანადგარი, რომლის საშუალებითაც ერთი ან რამდენიმე ბორბალი ერთდროულად შეიძლება იქნეს გამოშვებული ან აღებული იმავე პრინციპით, როგორც ეს ხდება თვითმფრინავზე შასების აღების დროს. იმ შემთხვევაში თუ წინა ბორბლები ყინულის ნაპრალში ჩავარდა, მაშინ ეს ბორბლები შეიწევა და ავტომობილი მისრიალებს თავისი წინა ნაწილით, უკანა ბორბლები კი წინ ეწევიან მას. როცა უკანა ბორბლები მიაღწევენ ზზარს, მაშინ უკანა ბორბლები თავის მხრივ შეიწევა და ერთდროულად გამოიწევა წინა ბორბლები, რომელთა საშუალებით ავტომობილი ამოცოცდება ნაპრალიდან კუდზე სრიალით. როცა უკანა ბორბლებიც გასცილდება ნაპრალს, მაშინ ამ ბორბლებსაც გამოუშვებენ და ავტომობილი განაგრძობს გზას 4 ბორბლით.

ადგილზე დგომისას ოთხივე ბორბალი შეიმალება და „კრეისერი" სდგას თავისი ლითონის სრიალა ზედაპირზე, ამავე დროს საფარების რეზინამ რომ თავისი ელასტიურობა არ დაჰკარგოს, იგი დაიხურება და თბება ორივე დიზელმოტორის გადამუშავებული აირით.

ამნაირადვე დიზელმოტორების გადამუშავებული აირებით თბება იმ თვითმფრინავის მოტორი, რომელიც მიმაგრებულია კრეისერის სახურავზე. კრეისერის 250-ძალიანი დიზელმოტორები წარმოადგენენ ძალოვან დანადგარს, რომელიც ენერგიით ასაზრდოებს ბორბლის მოტორებს, მეცნიერულ აპარატურას, გასანათებელ ქსელს, რადიოდანადგარისა და სამზარეულოს. ოთხი 75-ძალიანი ბორბლის მოტორი ჩადგმულია ბორბლებში; თვითეული ეს ბორბალი თავის მოტორთან ერთად 3,5 ტონას იწონის. კრეისერის კაიუტებს ათბობს წყალი, რომელიც გამოყენებულია ორივე დიზელმოტორის გასაცივებლად. ეს წყალი მიდის მილებსა და რადიატორებში და ამრიგად ასრულებს ორმაგ, ერთმანეთის საწინააღმდეგო მუშაობას — მოტორების გაციებასა და ავტომობილის ბინის გათბობას.

ბერდის ექსპედიციის მონაწილეებს „სათოვლო კრეისერში" მოუხდებათ ცხოვრება და მუშაობა სამი წლის განმავლობაში.

12 მარტი (საკდესი).

## რიბენტროპი მიიღო იტალიის მეფემ

**ბერლინი**, 11 მარტი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი გუშინ იტალიის მეფემ მიიღო. აუდიენციამ ნახევარ საათზე მეტს გასტანა.

## უელესი ლონდონში

**ლონდონი**, 11 მარტი (საკდესი). დღეს უელესს საუბარი ჰქონდა ჰალიფაქსთან და ჩემბერლენთან. შემდეგ უელესი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კენედი მიიღო მეფემ.

## რიბენტროპის გამგზავრება რომიდან

**რომი**, 12 მარტი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, რიბენტროპი გუშინ რომიდან ბერლინს გაემგზავრა. სადგურზე იგი გააცილეს ჩიანომ, ფაშისტური პარტიის მდივანმა მუტიმ, განათლების მინისტრმა ბოტაიმ, პრესისა და პროპაგანდის მინისტრმა პავოლინიმ და სხვებმა.

## რიბენტროპი ბერლინს დაბრუნდა

**ბერლინი**, 13 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი 12 მარტს რომიდან ბერლინს დაბრუნდა.

## გორსა და თბილისში ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების ფოტოღიაბარათები

მრავალი ექსკურსანტის სურვილისა და თხოვნის თანახმად, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი შეუდგა გორსა და თბილისში ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების ფოტოღიაბარათების გამოცემას. სულ გამოცემულ იქნება 22 სახელწოდება (34 ხედი). თვითეული ღია ბარათი გამოიცემა 2.000 ცალად ქართულ ენაზე და ამდენივე რუსულ ენაზე. ექსკურსანტებს ღია ბარათების შეძენა შეეძლებათ ვ. ი. ლენინის თბილისის ფილიალის, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური რესტავრირებული სტამბისა და გორში გამოფენა „ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის" ნახვის დროს.

გამოცემულ ფოტოღიაბარათებში არის ფოტოღიაბარათები, რომლებზედაც გამოსახულია: რესტავრირებული სახლი გორში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ი. ბ. სტალინი (1879-1883 წ.), გორის სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლობდა ი. ბ. სტალინი (1888-1894 წ.), ლენინის პროსპექტი გორში და ციხის ხედი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური რესტავრირებული სტამბის შენობა და სხვ. (საქდესი).

## აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისათვის

10 მარტს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა და აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად მწერალთა კავშირის მიერ გამოყოფილი საიუბილეო კომისიის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირთან შექმნილი საიუბილეო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გოლცევმა; მან სხდომას გააცნო ის მოსამზადებელი მუშაობა, რომელსაც ატარებს კომიტეტი იუბილესთან დაკავშირებით. მუშაობა გაშლილია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. აკაკი წერეთლის ნაწარმოებნი ითარგმნება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

აკაკი წერეთლის იუბილესათვის მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვა პოეტის ნაწარმოებთა ერთტომეული, დაახლოებით, 20 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით. ერთტომეულში შევა პოეტის 200-მდე ლექსი, მათ შორის — „სალამური", „სულიკო", „გორი", „კრწანისის ველი", ლექსები თარგმნილია პ. ანტოკოლსკის, კ. ლიპსკეროვის, ს. შერვინსკის და სხვათა მიერ.

ერთტომეულში შევა აგრეთვე პოემები: „თორნიკე ერისთავი" (ს. სპასკის თარგმანი), „ნათელა" და „გამზრდელი", (ბ. ბრიკის თარგმანი) ერთტომეულისათვის წინასიტყვაობას სწერს ლ. ასათიანი, წიგნს რედაქტორობენ ვ. გოლცევი და ს. ჩიქოვანი.

ცალკე წიგნად გამოვა აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი", რომელიც თარგმნილია ე. ლოლობერიძის მიერ.

იუბილეს დღეს მოსკოვში შესდგება სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო სხდომა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით. გაიმართება აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მთელი რიგი საღამოები (საქდესი).

## გ. გაბაშვილის სურათების გამოფენა

ხელოვნების მუზეუმმა „მეტეხმა" დიდად სასარგებლო საქმე გააკეთა: სამხატვრო გალერიაში მოაწყო გიგო გაბაშვილის სურათების დიდი გამოფენა. მართალია, გამოფენა სრული არ არის, რადგან მხატვრის 2000-მდე ნაწარმოებებიდან გალერიაში გამოფენილია 278, მაგრამ ეს არ ამცირებს გამოფენის მნიშვნელობას. გ. გაბაშვილის სურათები გაფანტულია მთელ მსოფლიოში და მათი თავის მოყრა, რასაკვირველია, მუზეუმის შესაძლებლობას აღემატება. ამასთანავე, გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის ყველა ძირითადი ნაწარმოები, რომელთა მიხედვით მნახველი სრულ წარმოდგენას მიიღებს გ. გაბაშვილის შემოქმედებაზე. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ გამოსაფენად გამზადებული ბევრი ნაწარმოები არ დაეტია გალერიის დარბაზში.

გამოფენაზე წარმოდგენილია გ. გაბაშვილის შესანიშნავი ნაწარმოებნი. მნახველი აქ იპოვის მხატვრის ისეთ შედევრებს, როგორიცაა „ცხენოსანი ქურთი", „ბოსტანში", „სამი ქალაქელი", „მოლა", „უცნობი გლეხის პორტრეტი", მრავალი ვარიანტი თემაზე — „ბაზარი სამარყანდში", ხევსურების შესანიშნავი ტიპები, „ალავერდობა", რამდენიმე ნატურმორტი, „ჭიდაობა", იშვიათი ოსტატობით შესრულებული პორტრეტები, თბილისელების ტიპები, „ხევსურთა ბრძოლა", „მობანავე ქალები" და სხვ.

გამოფენას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდა მხატვრებისათვის. გ. გაბაშვილი ფერების დიდი ოსტატია. მაგრამ ფერები არ შეადგენს მხატვრისათვის თვითმიზანს. მნახველი გრძნობს, რომ ყოველი შტრიხი გამოფენილი სურათებისა სინამდვილიდან არის აღებული და მხატვრის შემოქმედებაში გადახარშული. ფერების დიდი ოსტატობით გამოყენების ნიმუშებია მისი იშვიათი სურათი „ბინდი ტბაზე", ნატურმორტები, ნაწარმოებები შუა აზიის თემებზე და სხვ.

უნდა აღინიშნოს მუზეუმ „მეტეხის" მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა. მუზეუმმა გამოფენისათვის გამოსცა კატალოგი ამხ. შ. დუდუჩავას შესავალი წერილით, რომელშიც მკითხველი იპოვის ამომწურავ მასალებს გიგო გაბაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გამოფენაზე იყიდება გ. გაბაშვილის ცნობილი სურათების რეპროდუქციები, გამოცემული ღია ბარათების სახით.

## საგაზაფხულო არდადეგები

საქართველოს განსახკომის ბრძანებით დაწყებითი, არასრულ საშუალო, საშუალო და მოზრდილთა სკოლებში, პედსასწავლებლებსა და საბავშვო სახლებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდება 24 მარტიდან 30 მარტამდე (ჩათვლით).

სკოლების ხელმძღვანელებმა პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად უნდა შეადგინონ საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება: ლიტერატურულ-მხატვრული დილა-საღამოების მოწყობა მშობელთა მონაწილეობით, კინოსურათების ჩვენება, გასართობების მოწყობა, ექსკურსიები მახლობელ ადგილებში და სხვ.

გართობა-დასვენების პროცესში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მოსწავლეთა თვითშემოქმედებას, ინიციატივას, ისე, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე ძალდატანებას ამ დასვენება-გართობაზე დასწრებისათვის.

არდადეგების პერიოდში მოსწავლეებს არ უნდა მიეცეს ისეთი საშინაო დავალება, რომელიც ატარებს სასწავლო-აკადემიურ ხასიათს და გამოიწვევს მოსწავლეთა დაღლას.

არდადეგების დამთავრებამდე ორი დღით ადრე უნდა მოხდეს სკოლის მთელი შენობის გაწმენდა-დასუფთავება, დეზინფექცია, საკლასო ოთახებისა და საერთოდ, მთელი სკოლის წესრიგში მოყვანა იმ ვარაუდით, რომ სწავლის განახლების პირველი დღიდანვე მოსწავლე ახალგაზრდობა შეუდგეს ნორმალურ პირობებში მეცადინეობას.

14 მარტს, საღამოს 7 საათზე, „კომუნისტის" რედაქციის ბინაზე (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული) შესდგება გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

**მორიგი მეცადინეობა**

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

## ორდენოსან ზ. ნადირაძის ნაშრომი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ — ვაგონსარემონტო ქარხნის ცნობილმა ელექტროშემდუღებელმა, ლენინის ორდენოსანმა ამხ. ზ. ნადირაძემ ამ დღეებში დაამთავრა თავისი ნაშრომის წერა ორთქლმავლისა და სხვა მანქანათა რთული ნაწილების შედუღების შესახებ. ნაშრომში მოცემულია მანქანათა რთული ნაწილების შედუღების საიდუმლოებანი და ავტორის მდიდარი გამოცდილება ამ დარგში.

ამხ. ნადირაძეს შრომაზე მუშაობის პროცესში კონსულტაციას უწევდა ინჟ. მავკოვი. ნაშრომი სარედაქციოდ გადაეგზავნა გზათა სახალხო კომისარიატის სპეციალურ კომისიას მოსკოვში. ამხ. ნადირაძის აღნიშნული შრომა საბჭოთა კავშირის ქარხნების შემდუღებელთა სახელმძღვანელოდ არის ნავარაუდევი.

## რადიო დღეს

17.10—„უკანასკნელ ცნობათა" საღამოს გამოშვება. 18.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის. სიმფონიური კონცერტი. 18.30—საუბარი თემაზე: „საბჭოთა რადიოგადაცემები სტალინურ ხუთწლედებში". 19.00—„უკ. ცნობათა" საღამოს გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან. 20.00—საუბარი საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. ტრანსლაცია მოსკოვიდან. 21.00—„პრავდის" მოწინავე. 21.15 — გადაცემა ციკლიდან: „მუსიკალური თვითგანვითარების დასახმარებლად". 23.10—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება. 23.40—კონცერტი, მიძღვნილი ჩაიკოვსკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. პროგრამაშია: სიუიტა „წლის დრო" და რომანსები. 00.30—00.58 — „უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება. ტრანსლაცია მოსკოვიდან.

## მენდელეევის საზოგადოებაში

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ კორპუსში (კამოს ქ. № 34) შესდგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქ. განყოფილების საზოგადო კრება, რომელზედაც დოც. ს. ნ. ჭრელაშვილი წაიკითხავს მოხსენებას — პირველი საკავშირო ანალიზური კონფერენციის მუშაობის შესახებ და დოც. ი. ბაცანაძე—ამიაკის სინთეზის მექანიზმის შესახებ.

დასწრება თავისუფალია.

## პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522177, გაცემული ლადო ნიკოლოზის-ძე პაპაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3299869, გაცემული ვასილ ყირიმის-ძე გაბუნიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

15 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. ბითაძის ლექცია თემაზე: ლენინი და სტალინი—გამარჯვებათა ორგანიზატორები სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ქართულ ენაზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე, პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს".

კონსულტაცია სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე.

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** სახოპერა — „ჩიო-ჩიო-სან" (ტალ. № 139), რუსთაველის სახელობის — „გუშინდელნი" (ტალ. № 134), მარჯანიშვილის სახელობის — „მადამ სან-ჟენ".

**კინოებში:** რუსთაველის სახ. — „გამანადგურებელნი", ოქტომბერი — „გამანადგურებელნი", დამკვრელი — „მხიარულების ძებნაში", კომკავშირელი — „მთავრობის წევრი", ლუქსემბურგის სახ. — „მიგდებული ბავშვი". სპარტაკი — „ხედოველები", „ჩვენი კინო", კომინტერნი — „ყაბარდოელი მხედარი" 26 კომ. სახ. — „დიდი ცხოვრება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**


**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| 14 მარტს | 15 მარტს | 16 მარტს |
| --- | --- | --- |
| მუდმ. ადგ. ტალ. № 139 | მუდმ. ადგ. ტალ. № 140<br>3 აბ 11 წარმ. | მუდმ. ადგ. ტალ. № 141<br>4 აბ. 10 წარმ. |
| **ჩიო-ჩიო-სან** | **ქეთო და კოტე** | **კარმენ**<br>უკრაინის სსრ დამსახურებული მსახიობის დანჩენკოს მონაწილეობით. |

დასაწყისი საღამოს 8 ს.

**მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი**

1939—40 წ. სეზონი

| 14 მარტს | 15 მარტს | 16 მარტს |
| --- | --- | --- |
| **მადამ სან-ჟენ** | **ვერაგობა და სიყვარული** | **მადამ სან-ჟენ** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**სახცირკი**, ტელ. 3-11-44 | 15 მარტს

**დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად**

გაწვრთნილი ცხენების სახელმწიფო საჯინიბო ორდენოსან **ი. მანკევიჩის** ხელმძღვანელობით, აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი.

რსფსრ სახალხო არტისტი, ორდენოსანი **ბორის ედერი** ლომების ახალი ჯგუფით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

14 მარტი სახცირკის გამოსასვლელი დღეა.

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის დირექცია**

**11-დან 14 მარტამდე აწარმოებს 1939-1940 წლებში მომქმედი მუდმივი ადგილების ხელახალ რეგისტრაციას.**

ხელახალი რეგისტრაციის დროს საჭიროა თან იქონიოთ მუდმივი ადგილების ტალონები და ცნობა ფულის გადარიცხვის შესახებ.

მუდმივი ადგილების იმ მფლობელებს, რომლებიც არ გამოცხადდებიან ხელახალი რეგისტრაციისათვის, 15 მარტიდან არ შეუშვებენ თეატრში და მათი ადგილები გაიყიდება.

ხელახალი რეგისტრაცია სწარმოებს სააბონემენტო სალაროში დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 5-დან 9 საათამდე.

100 2—2 **დირექცია.**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან შექმნილია კანტორა „თბილქალაქგაფორმება"

პლეხანოვის პროსპ. № 73, ტელეფონი 3-35-27




**კანტორა იღებს დაკვეთებს**

ოქროს, ვერცხლის, ამალგამის წარწერიანი მხატვრული, ფერწერითი და **გაზშუქა რეკლამების**, შუქიანი სარეკლამო ფარების, სხვადასხვა მხატვრული

**აბრებისა და დაფების**

დამზადებასა და დადგმაზე.

**ლოზუნგების, ფარებისა და გირლანდების დამზადებაზე.**

შენობათა ფასადების მოპირკეთებასა და რემონტზე.

**სადღესასწაულოდ ვიტრინებისა და შენობათა ფასადების მხატვრულ გაფორმებაზე.**

აფიშებისა და განცხადებების რეგისტრაციასა და გაკვრაზე.

**დაკვეთები სრულდება**

დროზე თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების მიერ დამტკიცებულ ფასებში. დაკვეთები მიიღება როგორც კანტორაში (პლეხანოვის პროსპ. № 73), ისე რწმუნებულის გამოძახებით ტელეფონით 3-35-27.

534 **თბილქალაქგაფორმება.**

თანახმად ზემდგომი ორგანოების და არტელის წევრთა საერთო კრების (ოქმი № 2) დადგენილებისა, ა. წ. 20/II-დან ხდება არტელ „წინანდალის" **ლიკვიდაცია.**

ყოველგვარი პრეტენზიები ორგანიზაციებისაგან მიიღება ა. წ. 20 მარტამდე.

ლიკვიდკომის მისამართი: პლეხანოვის პროსპ., № 27.

5581 **ლიკვიდკომი.**

შვილი ვერა, სიძე ალექსანდრე გოცირიძე პატარა ნაწულით იუწყებიან **სამსონ ნიკოლოზის-ძე კალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 7 ს. გამოსვენება 15/III 5 ს. კერესელიძის, 23. 5651

მეუღლე მატრონა, შვილები დავარი, ლიდა, ირაკლი, ნადია, მანია, სიძეები ქ. ევანია, შ. შავდია, შვილიშვილები იუწყებიან **ჯაბა კოსტას-ძე ხაფავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/III ს. კადარში. 5646

მეუღლე ნადია, შვილები კოლა, ვერა, ძმისწული დათიკო, რძალი ქეთო, სიძე გოცირიძე, შვილიშვილები იუწყებიან **სამსონ ნიკოლოზის-ძე კალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III. გამოსვენება 15/III 5 ს. კერესელიძის, 23. 5642

ძმა ტრიფონ, რძალი ოლღა შვილებით ლიზათი, თამარით, შალიკოთი, რძალი ტატიანა, სიძეები სამსონ მაჩაიძე, კოტიკო ლოლაძე შვილებით იუწყებიან **სამსონ გიორგობიანის** გარდაცვალებას. 5643

თბილისის საზ. კვების ტრესტის დირექცია და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყებიან საზკვების მოწინავე მუშაკის „მკერავის" № 2 ფაბრიკის სასადილოს დირექტორის **სამსონ იოსების-ძე გიორგობიანის** გარდაცვალებას. 5645

დედა ეკატერინე, შვილი არჩილ, დები მარო, თამარ, სონია, ძმები ლუკა, შალვა ცოლშვილით, სიძეები გ. შოთაძე, პ. კვირკელია, ს. ხურციძე იუწყებიან **მაშურა შეწირული-შავიანიძის** გარდაცვალებას. 5639

ძმა შალვა რადიანი, რძალი ქეთევან ირემაძე იუწყებიან **მაშურა შეწირული-შავიანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/III 7 ს. გამოსვენება 16/III 5 ს. კლარა ცეტკინის, 172. 5639

შვილები მარიამ, ოლია, სიძე ალექსანდრე ბასილოვი შვილებით ოთარით და კოკათი იუწყებიან **ვარვარა სიმონის-ასულ გუზიტაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 7 ს. გამოსვენება 15/III 5 ს. კიროვის ჩიხი, 6. კუკიის სასაფლაოზე. 5640

დედა კესა, მეუღლე ელენტი, ძმა აფთონ, რძალი ნინო მახარაძეები იუწყებიან მათთვის საყვარელ **ვალოდია მახარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მარტს ჩოხატაურის რაიონი სოფ. ვანში.

მეგობრები: შელია, გიგაური, ვარსემაშვილი, გოგი შალაშვილი, მალხაზ ჩალაშვილი, შალიკო მანჯავიძე, გაბუნია, მეფურიშვილი, ფავლენიშვილი, გოგიტიძე იუწყებიან **არჩილ გიორგის-ძე ელისაშვილის** გარდაცვალებას.

დები ანეტა, ლიმონიკა ქმრით სიმონით, შვილებით თამარით, ქეთოთი, ვასიკოთი ეხუტიძეები, იპრასია ენუქიძე იუწყებიან **სამსონ იოსების-ძე გიორგობიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/III 5 ს. ბორჯომის 7. 5644

მეუღლე ნინო, რძალი ანიჩკა, შვილები ნიტიფო, ვარდო, ფატია, ნატაშა, სიძეები თეიმურაზ, მელქისედეგ, უსეინ, შვილიშვილები იუწყებიან **მასიკო ქაიხოსროს-ძე მელიმონაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხიდისთავში 16/III. 5647

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ვალოდია, თალიკო, რძალი საშა, სიძე გრიშა, მზია, ცისანა იუწყებიან **ნატალია ალექსის-ასულ კაპატაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/III 7 ს. ფოთის, 6. დაკრძალვა 16/III 5 ს. 5648

ბიძები კოლია, ამბაკო, კირილე, ბიცოლები კატუშა, აგრაფინა ნიჟარაძეები, ნინო წერეთელი-ნიჟარაძისა იუწყებიან **ჯაბა ნიკოლოზის-ძე მეძმარიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/III ს. მეორე ფერსათში (ბაღდათის რ.). 5441

და მატრონე, დისწულები ერმილე, ტრიფონ, დავით, მიშა თოდრაძეები ოჯახის წევრებით იუწყებიან **ესო ლომჯარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/III ს. წითელმთაში (მახარაძის რ. ). 5651

მეუღლე მაკრინე, შვილები პროკოფი და შურა იუწყებიან **ივანე პეტრეს-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/III ს. კულაშში (სამტრედიის რ.). 555


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84 წერილების—3—73—24. პ.-მგ მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1470